გაზეთი ხვალის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№5 (1031) 19 – 20 იანვარი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დავით ბაქრაძე: „საქართველოს კურსთან დაკავშირებით კითხვები არ არსებობს!“

გვ. 2

ექსკლუზიური ინტერვიუ ევროინტეგრაციის მინისტრთან

„ბიზნესების საკეთებლად და თანამდებობაზე წამოსასკუპებლად, პატრიარქის კალთას ეფარებიან!“

„ადამიანისთვის კარგი და მისაღები მხოლოდ ის რწმენაა, რომელიც სიხარულს ანიჭებს. მორწმუნე მაშინ ხარ, როცა გაქვს არჩევანის თავისუფლება და შენი რწმენა ზომიერია, სიტყვის თავისუფლება კი — წარუვალი ღირებულება. თუ რწმენა ზომიერი არაა და რადიკალიზმსა და ფანატიზმში გადადის, ტერორიზმს უტოლდება!“ — ეს პატრიარქის სიტყვებია.

ნესტან კირთაძის სკანდალური განცხადებები და მზადება ქალთა ბიზნესფორუმისთვის

გვ. 3

გია როინიშვილმა ბიძინა ივანიშვილს ფული „მოუტეხა“?

სამი სავარაუდო მიზეზი, რის გამოც ქეთი დოლიძემ მსახიობი თუმანიშვილის თეატრიდან გაუშვა

გვ. 7

ვინ ემუქრება ლადო სადღობელაშვილს

გვ. 4–5

პერსონალური ინფორმაციები და არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ „თავისუფალი თაობის“ ლიდერთან

„ეს ამბავი ახალაიამ გაიგო და ამიტომაც დაარტყა ხელი ქურდებს...“

კრიმინალ ქრონიკა

გვ. 8

ლევან ვარშალომიძისა და გიორგი აბაშიძის სავარაუდო ფინანსური კავშირები

დაიბარებენ თუ არა მთავარ პროკურატურაში აჭარის ყოფილ ლიდერს — სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა

გვ. 6

რატომ ითიშება დენი

დავით ბაქრაძე: „საქართველოს კურსთან დაკავშირებით კითხვები არ არსებობს!“

გიორგი იაშვილი

საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას არცთუ იშვიათად ადანაშაულებს, რომ ქვეყნის ევროპულ კურსს გადაუხვია და დასავლეთისკენ აღებული გეზი შეცვალა. კოალიციიდან გასვლა-წასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად „თავისუფალმა დემოკრატებმაც“ სწორედ კურსის ცვლილება დაასახელეს, მაგრამ ის, რომ ხელისუფლებას დასავლური კურსი არ შეუცვლია, რამდენიმე დღის წინ, NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილე ალექსანდრ ვერშბოუმ დაადასტურა. „NATO სრულად უჭერს მხარს ალიანსში საქართველოს მომავალ წევრობას. ყველა ინსტრუმენტი მზადაა, რომ საქართველოს მისწრაფებებს წინსვლა ჰქონდეს. NATO-ს და საქართველოს მყარი პარტნიორობა აქვთ ავღანეთში მაღალი თავსებადობის ძალების მისიის წყალობით“, — დაწერა Twitter-ზე NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილემ მას შემდეგ, რაც ბრიუსელში, NATO-ს შტაბ-ბინაში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრის, თამარ ბერუჩაშვილის შეფასებით, NATO-ს გენერალური მდივნის მოადგილის განცხადება უნდა ჩავთვალოთ, როგორც საქართველოს მთავრობის რეფორმების ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება. მისივე თქმით, ვერშბოუს განცხადება, რომელიც NATO-საქართველოს კომისიის შემდეგ გააკეთა, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ NATO მხარს უჭერს საქართველოს წევრობას ალიანსში და ამასთან, რეფორმების თვალსაზრისით, საქართველომ ძალიან კარგი შედეგი აჩვენა.

„შესაბამისად, მინდა, ჩავთვალოთ და გავიზიაროთ, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება იმ რეფორმებისა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს“, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

ამ თემაზე „ვერსიამ“ კომენტარი პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძესა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ დავით ბაქრაძეს სთხოვა.

თედო ჯაფარიძე: „პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს საქართველოს გამარჯვებაა. ვერშბოუმ ის დაადასტურა, რისთვისაც ჩვენი ხელისუფლება იბრძვის და ისწრაფვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მესიჯია როგორც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ლიდერებისთვის, ისე — მთელი მსოფლიოსთვის. ვერშბოუს განცხადება პირდაპირ მიმანიშნებელია, რომ საქართველოს აქვს უფლება და შესაძლებლობა, NATO-ში მაპ-ის გარეშე გაწევრიანდეს. პარალელურად, ეს განცხადება იმედია, დააფიქრებს ჩვენს ოპონენტებს, რომლებიც სახელმწიფო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით აბსურდულ განცხადებებს აკეთებენ. საქართველო მყარად ადგას დასავლურ კურსს და გადახვევას არ აპირებს“.

ვერშბოუს გაცხადების კომენტირებისას, დავით ბაქრაძემ კი აღნიშნა:

— ეს განცხადება გაკეთდა NATO-საქართველოს კომისიის შეხვედრის შემდეგ. უფრო კონკრეტულად კი, ეს განცხადება კომისიის დასრულების დღეს ემთხვევა და შესაბამისად, ვთვლი, რომ ეს საქართველოს მთავრობის გამარჯვებაა. კომისიას მე და მინისტრის მოადგილე, დავით დონდუა ვესწრებოდით, ჩვენ გვქონდა შეხვედრა როგორც ვერშბოუსთან, ისე ჯეიმს აპატურაისთან და მინდა გითხრათ, რომ ეს შეხვედრა ძალიან ნაყოფიერი იყო.

— რიგის სამიტის წინ, რამე დაპირება ხომ არ მიიღეთ?

— რიგის სამიტს იმედით ველით. დარწმუნებული ვარ, ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მაღალი შეფასება მოჰყვება და იქნება შესაბამისი დასკვნა. ასევე, იმედი მაქვს, რომ მოხდება ვიზების ლიბერალიზაცია და საქართველო ამ მიმართულებით კიდევ ერთ დიდ ნაბიჯს გადადგამს ევროინტეგრაციისკენ. პარალელურად, ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, მოხდება რეფორმების განხორციელება და მოდერნიზების უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობამ დააფიქსირა პოლიტიკური ნება, დადო კონკრეტული შედეგი და წარმატების იმედი გვაქვს.

— ოპონენტების ბრალდებებს ევროსტრუქტურებში როგორ აფასებენ?

— შეფასება არ აქვს, ყველა ხედავს ჩვენს ქმედებას, ჩვენს ნაბიჯებს და შესაბამისად, საქართველოს კურსთან დაკავშირებით კითხვები არ იბადება.

საპატრიარქოს საგანგებო განცხადება

„დაუშვებელი და დასაგმობია, როგორც მუსლიმების, ისე საერთოდ ნებისმიერი რელიგიის სიწმინდის რაიმე ფორმით შეურაცხყოფა“, — ამის შესახებ საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადების თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ სიტყვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მისი შეზღუდვა, სხვა ფასეულობების დაცვის მიზნით, დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

„რაც შეეხება რელიგიური გრძნობების უხამსი და ცინიკური ფორმით საჯაროდ შეურაცხყოფას და ღვთის გმობას, იგი ევროპის კავშირის წევრ თითქმის ყველა ქვეყანაში სისხლის სამართლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. განსაკუთრებით კი მძიმეა ეს დანაშაული იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივებას.

ჩვენი ეს პოზიცია ზოგადად დაფიქსირდა შვიდი დღის წინაც დეკანოზ თეიმურაზ თათარაშვილის ინტერვიუში, ხოლო ამ განცხადების გაკეთება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მუსლიმთა რელიგიური გრძნობების შემლახველი კარიკატურა და მასალები დიდი ტირაჟით ახლახან ისევ გავრცელდა.

ამიტომაც კვლავ ვაცხადებთ, რომ როგორც არა აქვს გამართლება ე.წ. ლინჩის წესით გასამართლებასა და ტერორიზმს, რა მოტივითაც უნდა იყოს იგი განპირობებული, ასევე დაუშვებელი და დასაგმობია, როგორც მუსლიმების, ისე, საერთოდ, ნებისმიერი რელიგიის სიწმინდის რაიმე ფორმით შეურაცხყოფა. ასეთი ქმედებების შედეგები შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს არა მხოლოდ რომელიმე ქვეყნისთვის, არამედ მთელი რეგიონისა და მსოფლიოსათვისაც კი და ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ზღვარი, რათა დაიცვას ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული სხვა უფლებები.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქრისტიანული ტრადიცია მუდამ გულისხმობდა სხვა კულტურისა და რწმენის მქონე თემებთან მშვიდობიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობას და ამ პრინციპით ყოველთვის ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ საქართველოში“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

„ინტერპრესნიუსი“

სამართალდამცავებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

შსს-ს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა მესამე სამმართველოს თანამშრომლებმა, ვადიანმა სამხედრო მოსამსახურეებმა და თბილისის განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში – „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“. სამმართველოს 100-ზე მეტმა თანამშრომელმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ აქციაში უკვე ორი წელია მონაწილეობს და სამინისტროს თანამშრომლები მ. იაშვილის სახელობის კლინიკასთან არსებულ სისხლის ბანკს ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის რეგულარულად აბარებენ სისხლს.

სისხლის ჩაბარების აქცია როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რეგიონში პერიოდულად იმართება და მასში სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელი მონაწილეობს. შს სამინისტროს აღნიშნულ აქციაში მონაწილეობის მიზანი ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირებაა.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

„სოლიდარობის ფონდმა“ 2014 წლის საქმიანობის ანგარიში წარადგინა

სასტუმრო „რედისონში“ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი „სოლიდარობის ფონდის“ 2014 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ, ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ, ნინო კობახიძემ გახსნა.

„სოლიდარობის ფონდის“ ხელმძღვანელის, მარიამ ჯაშის ინფორმაციით, ამოქმედებიდან დღემდე ფონდის საქმიანობას 240-ზე მეტი საჯარო უწყების 40 000-ზე მეტი თანამშრომელი შეუერთდა. ფონდმა უკვე გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები 14 კერძო კომპანიასთან, რომლის ფარგლებშიც მცირექველმოქმედების საშუალებით ფონდში დონაციების მობილიზება ხდება. არსებული დახმარებებით ჯამში 1 701 000 ლარის მობილიზება მოხდა და 1 198 000 ლარი დამტკიცდა 58 ბავშვისა და ახალგაზრდის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. ფონდის დაფინანსებით 18 ბავშვი უკვე გაემგზავრა, ან გეგმავს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრებას. მათ შორის ძვირადღირებული ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ჩასატარებლად.

ღონისძიების ფარგლებში სოლიდარობის ჯილდო გადაეცა 24 საჯარო უწყებას, როგორც ცენტრალურ სამინისტროებს, ასევე ცალკეული სამსახურების რწმუნებულის აპარატებს, მუნიციპალიტეტებს, ეროვნულ კომისიებსა და საბჭოებს, რომელთა თანამშრომლებიც სრული შემადგენლობით მონაწილეობენ სოლიდარობის ფონდის საქმიანობაში ან ყოველთვიურად ყველაზე მოცულობით ან საშუალოდ ყველაზე მაღალ დონაციებს უზრუნველყოფენ.

სოლიდარობის ჯილდო სხვადასხვა რეიტინგული პარამეტრებით გადაეცა 16 კერძო კომპანიასა და არასამთავრობო ორგანიზაციასაც, რომლებიც ფონდის ამოქმედების პირველივე წელს შეუერთდნენ ინიციატივას. ღონისძიებაზე ასევე მოხდა მადლობის სერტიფიკატების გადაცემა 43 საჯარო უწყებისა და სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის წევრებისა და დამკვირვებლებისთვის 2014 წელს განეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის.

პრეზენტაციის პარალელურად, სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა სოლიდარობის ფონდის ვებგვერდის პრეზენტაცია, რომელიც, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს საშუალებას აძლევს, ონლაინგადარიცხვებით დაეხმარონ ფონდში შესული განცხადებების მიხედვით კონკრეტულ ბავშვებს, ახალგაზრდებსა და მათ ოჯახებს.

„ინტერპრესნიუსი“

„ბიზნესების საკეთებლად და თანამდებობაზე წამოსასკუპებლად, პატრიარქის კალთას ეფარებიან!“

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

რა ხდებოდა ბრიუსელში პარიზის ტერაქტის დროს, რას ფიქრობს საქართველოს პატრიარქი სიტყვის თავისუფლებასა და ამ თავისუფლებასთან მებრძოლ ფანატიკოსებზე, ვინ არიან ე.წ. მორწმუნენი და რა მიზნით ეფარებიან პატრიარქის კალთას? — ამ თემებზე „ვერსია“ ისტორიკოსს, ქართულ-აფხაზური სამშვიდობო სახლის პრეზიდენტს, ნესტან კირთაძეს ესაუბრა, რომლის ექსკლუზიური ინფორმაციითაც, 2015 წლის მაისში, საქართველოში პირველად, მსოფლიო მასშტაბის ქალთა ბიზნესფორუმი ჩატარდება.

ნესტან კირთაძის სკანდალური განცხადებები და მზადება ქალთა ბიზნესფორუმისთვის

— პარიზის ტერაქტის შემდეგ საფრანგეთის ჟანდარმერიის მითი დაიმსხვრა. ამ დღეებში ბრიუსელში ვიყავი და ყველა ტელევიზია ერთსა და იმავეს აჩვენებდა, ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარიც გაკეთდა, იყო დიდი შიში, ბრაზი და, რაც მთავარია, მასობრივი მსოფლიო პროტესტი. იმ მომენტში ყველა ადამიანი თავს „შარლიდ“ კი არა, კაცობრიობის დაუძინებელი მტრის — ტერორიზმის წინაშე აბსოლუტურად დაუცველად გრძნობდა. ტერორიზმს არც ნაცია აქვს, არც რელიგია, არც წარმომავლობა. ტერორიზმს გამართლება არ აქვს!

— ქალბატონო ნესტან, როგორც ისტორიკოსი და ლექტორი, რომელიც ლექციებს მომავალ ჟურნალისტებსაც უკითხავთ, როგორ ფიქრობთ, სად გადის ზღვარი სიტყვის თავისუფლებასა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას შორის?

— დღეს ამაზე დავა მოდურია, მაგრამ ახლაც და ყოველთვის, ერთი პასუხი მაქვს: ტერორიზმის მიმართ ყველა შეუწყნარებელი უნდა ვიყოთ და მის ასახსნელად მოტივები არ უნდა ვეძებოთ! ყველაფერი დანარჩენი კი, უსაზღვროა და პირადი თავისუფლების საკითხია.

— გეთანხმებით, მაგრამ საქართველოში ვიღაცებმა მოტივის ძებნა მაინც დაიწყეს და კითხვაც დასვეს: რას იზამს საზოგადოება, თუკი რომელიმე ჟურნალის გარეკანზე პატრიარქის გაშარჟებული ფოტო დაიბეჭდება?

— სიტყვის თავისუფლების „შლემის“ ქვეშ, პოლიტიკოსებმა ტერორიზმი არ უნდა გაამართლონ. სხვათა შორის, პატრიარქის შეურაცხმყოფელი ფოტოები და გაქილიკებული მოძღვრები უკვე ვნახეთ, თუმცა თავისუფლების ხარისხს ყველა საკუთარი დონით ზომავს. ჩემთვის ფანატიზმიც ისეთივე მიუღებელია, როგორც — ტერორიზმი. აღარც ისაა გასაკვირი, თუკი ქართველი ფუნდამენტალისტები ტერორიზმის გამამართლებელ და ამხსნელ არგუმენტებს მოიყვანენ. ვიღაც ფანატიკოსმა, თუკი შენს რელიგიურ მოსაზრებებს არ ეთანხმება, შესაძლოა, ხვალინდელი დღეც წაგართვას. საზოგადოება რაც მალე გამოერკვევა და რწმენასა და ფანატიზმს შორის ზღვარს გაავლებს, ქვეყანაში ნამდვილი თავისუფალი სიტყვა უფრო დაცული იქნება. ბედნიერი ვარ, გაკვეთილებს საქართველოში ყველაზე დიდი მასწავლებელი — კათალიკოს-პატრიარქი მიტარებდა. პატრიარქი მასწავლიდა, რომ ყველაზე მთავარი ღირებულება სწორედ თავისუფლებაა.

> **„ადამიანისთვის კარგი და მისაღები მხოლოდ ის რწმენაა, რომელიც მას სიხარულს ანიჭებს. მორწმუნე მაშინ ხარ, როცა გაქვს არჩევანის თავისუფლება და შენი რწმენა ზომიერია, სიტყვის თავისუფლება კი — წარუვალი ღირებულება. თუ რწმენა ზომიერი არაა და რადიკალიზმსა და ფანატიზმში გადადის, ტერორიზმს უტოლდება!“ — ეს პატრიარქის სიტყვებია.**

ამიტომ დღევანდელ ფანატიკოს ტერორისტებს, ურჩევნიათ, უფლის სახელს ნუ მოიშველიებენ! სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას:

> **მავანნი ბიზნესების საკეთებლად, თანამდებობაზე წამოსასკუპებლად და პირადი კეთილდღეობისთვის, პატრიარქის კალთას ეფარებიან!**

დღეს საქართველოში ტერორიზმი გამართლებულია, რაც ძალიან მაშინებს — ეს ქართული თანამედროვე აზროვნების უმძიმესი შედეგია! ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც ბევრად მეტი კომენტარი და გზავნილი უნდა გაკეთებულიყო მთელი მსოფლიოს მისამართით და პარიზის მოვლენებს მხოლოდ დასავლელი ლიდერების მესიჯბოქსების გამეორებით არ უნდა გამოვხმაურებოდით. ამ დღეებში, კაცობრიობამ ექსტრემიზმს, ტერორიზმსა და ცივილიზებულ მსოფლიოს შორის ახალი ქრონოლოგია დაიწყო.

— ამ ვითარებაში საქართველოს რა როლი აქვს?

— საქართველო ორი ისტორიული რელიგიის გზაჯვარედინზეა — ევროპისა და აზიის გზაგასაყარზეა და სრულიად ბუნებრივად შეგვიძლია, აღმოსავლეთსა და დასავლეთის შორის მედიატორი ქვეყანა გავხდეთ. აქ უნდა იმართებოდეს ბევრი საერთაშორისო კონფერენცია, მთელი მსოფლიოდან ცნობილი ექსპერტები ჩამოდიოდნენ და ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ენერგეტიკულ, იდეოლოგიურ თემებზე საექსპერტო დასკვნებს იღებდნენ. იმ დროზე ვოცნებობ, როცა საქართველო ამ მედიატორის ფუნქციას შეიძენს და მთელი ჩვენი საგარეო-პოლიტიკური მცდელობაც აქეთ უნდა იყოს მიმართული, თუმცა ფაქტია: ამის გამბედაობა არ გაგვაჩნია და ქართველი პოლიტიკოსები ჯერჯერობით ისევ თავიანთ ღვინის ქარხნებსა და წიწმატისა და ნიახურის ბიზნესებზე დარდობენ.

— ქალბატონო ნესტან, რა ამის პასუხია და, აფხაზეთში რა ხდება?

— აფხაზეთის თემა დღეს, ხვალ და ზეგ, მართლაც, არ გაცოცხლდება. არჩევნების წინ კი ვიღაც გამოვა და იტყვის, აი, დაბრუნების გეგმა მაქვს და შემდეგ წელს აფხაზეთში ერთად ჩავალთო. ეს საუკუნის ცინიზმია!

— ადრე მითხარით, რომ ანქვაბი გირეკავდათ, მაგრამ თქვენი შეხვედრა ვერ შედგა. ახლა რა ურთიერთობები გაქვთ აფხაზეთის ოპოზიციასთან და, საერთოდ, რა პოლიტიკური დინებებია რუსებისგან ოკუპირებულ რეგიონში?

— ახლა აფხაზეთში სწორედ ის პერიოდია, როცა პოლიტიკური ძალები ლაგდება — ერთმანეთს ზომავენ და წონიან, მაგრამ იცოდეთ, მათი გონება და თვალი ისევ საქართველოსკენაა მომართული. დღე ერთია და, ათასობით ადამიანი გადმოდის ენგურსაქეთ, უამრავი ბარიერის მიუხედავად, თავიანთ მშობლებს, შვილებს, ახლობლებს აკითხავენ. აფხაზეთში მეც რამდენჯერმე მიმიპატიჟეს და ვფიქრობ, ძალიან მალე წავალ... დღეს აფხაზეთი უპატრონო ეკლესიასავითაა, რომელსაც ეშმაკები დაეპატრონნენ, თუმცა ურთიერთობა ჯერ მზად არც სამოქალაქო დონეზეა. პირდაპირ ვიტყვი:

> **საქართველოსთვის აფხაზეთი დღეს გრანტების გათეთრების სფეროა. გალის რაიონში, ყველა ოჯახში ერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რათა რაღაც ტიპის გრანტი მოიხვეჭოს.**

ჩემი ყველა აფხაზი მეგობრის მადლიერი ვარ, რომ ჩემთან შეხვედრას მაინცდამაინც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ ითხოვს. ისინი ევროპაში უკვე ხშირად ჩადიან და ლობს ეძებენ, თუმცა მათი მიზნის მიუხედავად, ამას არ განვიცდი, პირიქით, რაც მეტი აფხაზი ჩაისუნთქავს ევროპის ჰაერს, მით მეტად დაინახავს განსხვავებას ჩვენსა და რუსეთს შორის და ეს ყოველთვის იქნება ხიდი ჩვენთვის, რათა ერთად დავბრუნდეთ ჩვენს ევროპულ ოჯახში. არ ვიცი, ჩვენი ე.წ. მთავრობა საქმის კურსშია თუ არა ან რა ინფორმაცია აქვს, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი მზადდება უფრო აქტიური ურთიერთობის დასაწყებად, თუმცა ეს რუსეთის ფედერაციის დამსახურება არაა. რუსეთი ტყუის, როცა ვაჭრობს, თუ ჩვენთან კარგად მოიქცევით და, მაგალითად, ევრაზიულ კავშირში შემოხვალთ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგიბრუნებთო... აფხაზეთში ჩასვლას, სავარაუდოდ, შემოდგომით ვგეგმავ. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, უკრაინაში ეკონომიკური ღონისძიება — „ბიზნესლედი 2104“ ჩატარდა და მთელი მსოფლიოდან წარმატებული ბიზნესმენი ქალები ჩამოვიდნენ, მათ შორის, დონეცკსა და კრამატოვსკიდანაც. ამ ქალების შემოსავალი რამდენიმე მილიონიდან იწყება. სწორედ ამ ფორუმზე გადაწყდა, რომ 2015 წლის 15-16 მაისს, საქართველოში ბიზნესფორუმი ჩატარდება. ვცდილობთ, აფხაზეთში მოღვაწე ბიზნესმენ ქალბატონებსაც დავუკავშირდეთ, რადგან ყველაზე დიდი შერიგება ზაქარეიშვილის სამინისტროთი კი არა, ეკონომიკური და ბიზნესკავშირებითაა შესაძლებელი.

— ხელისუფლებამ ამის შესახებ იცის?

— არა და სწორედ ახლა, თქვენი გაზეთის მეშვეობით გაიგებს. მეტსაც გეტყვით, ვაპირებ პარლამენტს საკონსტიტუციო ინიციატივებითაც მივმართო, რათა აფხაზეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ურთიერთობა დალაგდეს, თუმცა ეს გრძელვადიანი სამუშაო და ყველა ფორმულირება დიდი სიფრთხილითაა შესარჩევი.

სომხეთი იუნესკო-ს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450 ეკლესიის სომხურად აღიარებას სთხოვს

სომხეთმა იუნესკო-ს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 450 ეკლესიის სომხურად აღიარების თხოვნით მიმართა, — ამის შესახებ ინფორმაციას „ინტერფსაქსი“ ბაქოში არსებულ „სანდო წყაროზე“ დაყრდნობით ავრცელებს. ამასთან, გამოცემის ცნობით, აზერბაიჯანის დედაქალაქში მიიჩნევენ, რომ სომხური მხარის ეს ნაბიჯი მოსალოდნელი იყო.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, ფაუდ ახუნდოვის განცხადებით, სომხური მხარის ამჟამინდელი პრეტენზიები აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში არსებულ მატერიალურ თუ არამატერიალურ მემკვიდრეობასთან მიმართებაში სომეხი ისტორიკოსების მრავალსაუკუნოვანი ფალსიფიკაციის შედეგია.

აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი, ნიკოლოზ ანთიძე გამოეხმაურა და „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა:

„გარკვეულწილად, ვიცი ამ ინფორმაციის შესახებ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იუნესკო არ არის სასამართლო, რომელშიც ასეთი საკითხები განიხილება. აქედან გამომდინარე, ეს ინფორმაცია და თემის წამოწევა გადაჭარბებულად მიმაჩნია. რაც შეეხება თვითონ ფაქტს, არის გარკვეული მოსაზრებები, უნდათ ეკლესიების გადაცემა, მაგრამ ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ჩასატარებელია სრულფასოვანი და მასშტაბური კვლევები. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს სომხური ეკლესიები, მაგრამ რაოდენობაზე ვერაფერს გეტყვით, არ მგონია, ბევრი იყოს. ყველაფერ ამას სრულფასოვანი და ჩამოყალიბებული კვლევა სჭირდება. აქედან გამომდინარე, ნაადრევია ჯერ ამაზე საუბარი, თუ რა საპასუხო ზომები უნდა იყოს მიღებული ქართული მხარის მიერ. პირველ რიგში, მოსაძიებელია, თუ რომელ ეკლესიებზეა საუბარი, რა არგუმენტაცია აქვთ, მერე საჭიროა მეცნიერული დასაბუთებები და ა.შ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ საკითხის შეფასებაც ნაადრევია“.

ანთიძის თქმითვე, ეს ძალიან მგრძნობიარე თემაა და შესაბამისი კვლევების გარეშე საკითხიც ვერც დადგება, არათუ გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

„ეჭვი მეპარება, იუნესკო კუთვნილებაზე მსჯელობდეს. მგონი, არასოდეს უმსჯელია. ის არის მოწოდებული მხოლოდ და მხოლოდ ძეგლთა დაცვის პრინციპებზე და არ მგონია, ასეთი საკითხი განიხილოს. თუ კითხვა გაუჩნდათ, იმ კითხვასაც ჩვენთან გადმოგზავნიან, ხოლო კუთვნილების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება იუნესკო-ს არ აქვს“, — განაცხადა ანთიძემ.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე კი აცხადებს, რომ ეკლესიების რელიგიური კუთვნილების გარკვევა კულტურის სამინისტროს კომპეტენცია არ არის.

„ვერსიანიუსი“

პოლიციამ ნარკოდანაშაული გახსნა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის 1-ლი მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1967 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე რამაზან კ. ნარკოდანაშაულის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და დროებით საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას 27 აბი და 4 ნატეხი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, ბუპრენორფინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ვინ ემუქრება ლადო სადღობელაშვილს

ვანო პავლიაშვილი

...საზოგადოებას თავი ჯერ კიდევ ნაცმოძრაობის მმართველობისას დაამახსოვრა. მართალია, ორი წელია, ხელისუფლებაში აღარ არიან, მაგრამ დღესაც ნაცებს ებრძვის... „თავისუფალი თაობაც“ ამ მოტივით დააფუძნა. ამბობს, რომ იდეური მამა, რომელიც იდეებს აწვდის, არ ჰყავს. სამაგიეროდ, ჰყავს კრეატიული გუნდი, რომელთან ერთადაც „თავისუფალ ზონაზე, „პიკასოს კლუბსა“ თუ სხვა ნაცქვედანაყოფზე „შტურმს“ გეგმავს ხოლმე... სხვათა შორის, ერბოკვერცხი და გოგლი-მოგლი არ უყვარს. სამაგიეროდ, კვერცხს არადანიშნულებისამებრ სიამოვნებით იყენებს — ოპონენტს ესვრის... ერთი სიტყვით, „ვერსია“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერის, ლადო სადღობელაშვილის არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ.

პერსონალური ინფორმაციები „თავისუფალი თაობის“ ლიდერზე

— ლადო, პირველი, რაც ოთახში შემოსვლისთანავე თვალში მომხვდა, პლაკატია, რომელიც გვამცნობს, რომ ადამიანს ძილის, ჭამისა თუ სიარულის თავისუფლება აქვს...

— არც რელიგიურ თავისუფლებას ვეწინააღმდეგებით და არც სექსუალურს. უბრალოდ, ჩვენ, ახალგაზრდები იმის გამო შევიკრიბეთ, ნაცმოძრაობის აქტივობებს ხელი შევუშალოთ, ქვეყნის სამსახურში ჩავდგეთ და ახალგაზრდობის როლი უფრო მნიშვნელოვანი გავხადოთ...

— ყველაფერი ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ თუკი ყველანაირ თავისუფლებას აღიარებთ, აბა, ნაცმოძრაობის აქტივობას ხელი რატომღა უნდა შეუშალოთ, ეს ხომ თავისუფლების შეზღუდვაა?

— ჩემს მაგალითზე გეტყვი: ამ ორგანიზაციამ სამი წელი დამაკარგვინა.

— „წლების დაკარგვა“ რას ნიშნავს?

— იმის საშუალება არ მქონდა, ჩემს ქვეყანაში პოლიტიკური აქტივისტი ვყოფილიყავი და, იმავდროულად, დასაქმებულიც: ოპოზიციაში ჩემი პოლიტიკური აქტივობა რომ დაფიქსირდა, მაშინ ერთ-ერთ ბანკში ვმუშაობდი და ხელმძღვანელობამ, პრაქტიკულად, მომთხოვა, ან პოლიტიკურად მიდიხარ, ან ბანკში რჩებიო. მივუგე, მთელ მსოფლიოში ასეთი შეზღუდვა არ არსებობს-მეთქი და, მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული თანამშრომელი ვიყავი, ბანკიდან წამოვედი.

— ბანკს პოლიტიკა რატომ ამჯობინე?

— თავი, უბრალოდ, შეურაცხყოფილად ვიგრძენი, რადგან ის უფლება შემეზღუდა, რაც დაბადებიდან მქონდა ანუ არჩევანის თავისუფლება.

— ისე, პოლიტიკაში რატომ ჩაერთე?

— ყველაფერს გეტყვი... თავიდან, ალბათ, ბავშვური და მეგობრული ჩათრევა იყო, რაც შემდეგ გასერიოზულდა.

— სანდრომ ჩაგითრია, ბრეგაძემ?

— არა.

— აბა, ვინ გაცდუნა?

— 2006 წელს, სანდრო გირგვლიანი რომ მოკლეს, ალბათ, გახსოვს, „თანასწორობის ინსტიტუტი“ აქციებს მართავდა. ჯაბა ჯიშკარიანი ჩემი უბნელია — მთაწმინდაზე ერთად გავიზარდეთ და ერთხელაც მითხრა, არ გინდა, აქციაზე წამოხვიდეო. წავყევი და „თანასწორობის ინსტიტუტში“ აღმოვჩნდი. ამის შემდეგ კი კოალიციაში, თუ არ ვცდები, „თავისუფლება“ ერქვა, გადავედი, სადაც კოკო გამსახურდია, გუგული მაღრაძე, გია მაისაშვილი და სხვებიც იყვნენ. სხვათა შორის, მაისაშვილის „ლიდერთა სკოლაში“ დავდიოდი და კოალიციაშიც უფრო მისი მხრიდან მოვხვდი.

— აგრესიული გამოსვლები გიამ გასწავლა?

— აგრესიული რატომაა? არანაირი აგრესია. ვერ ხედავ, როგორი ვარ?

— კი, ახლა მშვიდი ხარ...

— აგრესიული მასთან ვარ, ვისთანაც საჭირო...

2009 წლის საკნების აქციების მერე, კოალიცია რომ დაიშალა, კოკოს პარტიაში პრესსამსახურად წავედი. მაშინ ბავშვი ვიყავი და პარტიულ სტრუქტურებში ასე გათვითცნობიერებული არ ვიყავი — ხალხთან ურთიერთობა უფრო არასამთავრობო კუთხით მქონდა, მაგრამ 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში კენჭი მაჟორიტარად მაინც ვიყარე, თუმცა სიმართლე გითხრა, ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. სწორედ მაშინ დამდეს ბრალი ჰომოფობიაში...

— ამ ბრალდებას ახლაც გიყენებენ...

— არ მგონია...

— რამდენიმე წელი, როგორც ვიცი, საფრანგეთში ცხოვრობდი, სადაც უდავოა, განსხვავებულ ადამიანებს ნახავდი და მიხვდი, განსხვავებულის განქიქება კარგი არაა...

— ამაზეც ვილაპარაკოთ, შეზღუდული არ ვარ...

— ცუდი რაღაცები რომ გკითხო, მიტინგს ხომ არ მომიწყობ?

— არავითარ შემთხვევაში!..

— სხვათა შორის, მახსოვს, რაღაც ბრალს კოკო გამსახურდიაც გიყენებდა...

— კი, ჰომოფობიაში ბრალს კოკოც მდებდა...

— ინტრიგების მოწყობაშიც გამხელდა...

— კი ბატონო...

— კონსტანტინე გამსახურდიას ინტრიგები მართლა მოუწყვე?

— არა, უბრალოდ, დოკუმენტაცია ამოვულაგე.

— რა დოკუმენტაცია?

— ხელისუფლებამ თანხა, 100 ათასი ლარი რომ ჩაგირიცხა, რატომ მიზნობრივად არ გაიხარჯა და პირად მიზნებზე რატომ დაიხარჯა-მეთქი. ეს იყო და ეს. 2010 წელს 100 ათასი ლარი უფრო დიდი ფული იყო, ვიდრე დღესაა და ამ ნიადაგზე, შენ წარმოიდგინე, პრაქტიკულად, ნახევარი პარტია წამოვიდა და კოკო მძღოლსა და კიდევ ოთხ ვიღაცასთან ერთად დარჩა. ამის შემდეგ, „წინააღმდეგობის მოძრაობას“ — ირმა ინაშვილს შევუერთდი, მოძრაობა „მამული, ენა, სარწმუნოება“ ჩამოვაყალიბე და ციხეში წამებისა და გაუპატიურების საწინააღმდეგო აქციებშიც ვმონაწილეობდი, რის გამოც არაერთხელ დამიჭირეს...

— სიტყვამ მოიტანა და, შენი პატიმრობა რამდენიმე საათს არასოდეს გასცილებია...

— ყველაფერი ეს იმ ნეგატიურ განწყობას, რომელიც მაშინდელი პოლიციის მხრიდან ჩემსა და, საერთოდ, ახალგაზრდებზე მოდიოდა, უფრო და უფრო ზრდიდა. ის პოლიცია სხვა იყო, დღევანდელი პოლიცია კი — სხვა.

— რომ გიჭერდნენ, არ გემუქრებოდნენ?

— მეტსაც გეტყვი: 26 მაისის დიდი სისხლისღვრის მერე...

— ვაიმე, ნინოსთანაც იყავი?

— არა, ნინოსთან არ ვყოფილვარ, უბრალოდ, აქციებზე მივდიოდი და მოთხოვნებს მხარს ვუჭერდი.

— რა მოთხოვნებს, ლადო? ხომ იცოდი, რომ ე.წ. მაისის აქციები სააკაშვილ-ბურჯანაძის ბრძოლა იყო?

— ჩემს ხალხთან ყოფნა აბსოლუტურად გამართლებულად მიმაჩნდა! 2011 წლის აგვისტოში, ჩვენი და ე.წ. სამართალდამცავების ურთიერთობა პიკამდე მივიდა და რამდენიმე ახალგაზრდას, მათ შორის, მეც ქვეყნიდან წასვლა მოგვიწია. ბევრი კი დაიჭირეს. ასე აღმოვჩნდი საფრანგეთში, სადაც 3 წელი დავყავი...

— რამდენიმე საათით რომ გიჭერდნენ, გაუპატიურებით ხომ არ გემუქრებოდნენ?

— ასეთი მუქარა არასოდეს ყოფილა, თუმცა მანქანის უკანა „სიდენიაზე“ მსვამდნენ, თავს წინა ორი „სიდენიის“ საზურგესთან მაყოფინებდნენ და ხან მუშტებს მირტყამდნენ და ხან — „დუბინკებს“. ვერ ვიტყვი, რომ ეს წლები ტკბილად მახსენდება. ბოლოს, საქმე იქამდეც მივიდა, რომ სახლშიც მომაკითხეს...

— ამ დროს პოლიტიკურად, როგორც მახსოვს, დედაშენიც გააქტიურდა და არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნა, არა?

— ეს მერე მოხდა, საქართველოდან რომ წავედი... დედაჩემი უფრო სოციალური კუთხით აქტიურობდა.

— ბურჯანაძესთან კავშირი ჰქონდა?

— ძირითადად.

— ანუ ბურჯანაძე აფინანსებდა?

— ეს ისეთი მსხვილი ორგანიზაცია არ იყო, რომელსაც დაფინანსება სჭირდებოდა. ყველაფერი სახლიდან კეთდებოდა. ასე, დედაჩემი ჟორჟოლიანთანაც იყო მისული და მის პარტიაში მუშაობდა...

— თემურთან?

— არა, გიასთან, „სოციალისტებში“ და ბურჯანაძესთან ამის შემდეგ წავიდა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ დღესაც მიჭერენ, მაგრამ დღევანდელი პოლიცია მაშინდელი პოლიტიზირებული პოლიციისგან ბევრად განსხვავდება.

— ორი დღის წინ რომ დაგიჭირეს, „სიდენიებს“ შორის თავი აღარ ჩაგაყოფინეს?

— არა.

— აბა, ყავა დაგალევინეს?

— არც ყავა დამალევინეს, მაგრამ ისე არ მომქცევიან, თავი ძალიან შეურაცხყოფილად მეგრძნო, თორემ ხელები შებოჭილი რომ უნდა მქონდეს, ეს ჩვეულებრივი ამბავია...

— ყავაზე გამახსენდა: შენმა თანამშრომელმა ყავა მომართვა და რომ დავლიო, ხომ არაფერი მომივა?

— მეხუმრები?

— ასე ჩათვალე...

— (იცინის) თუ მაკიმ არ „გაგიჩალიჩა“... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ პოლიციას ადრეც შეეძლო, ახალგაზრდები დავეჭირეთ, ხელწერილი ჩამოერთმია და გავეშვით...

— ეს ხომ ფორმალობა იქნებოდა...

— რა, რომ გვხოცავდნენ, იგივეს არ ვაკეთებდით?

— „დავერბოვკება“ არ უცდიათ?

— სიმართლე გითხრა — არასოდეს.

— კეთილი, მაგრამ ამ ახალგაზრდებიდან ციხეში რამდენიმე წელი მხოლოდ მელორ ვაჩნაძემ გაატარა...

— რატომ? სხვებიც იყვნენ, მაგალითად, გაბედავა...

— გაბედავა, მგონი, თქვენთან არ იყო...

— ჩვენთან არც ვაჩნაძე იყო — 2009 წელს ჩვენი გზები გაიყარა. ჰოდა, ძალიან ბევრთან კონტაქტი აღარ მქონდა და მინდოდა, უფრო ეროვნულ ძალებთან ვყოფილიყავი.

— „ეროვნული ძალები“ რას ნიშნავს?

— აი, თუნდაც, ერთ დროს, ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები...

— ზვიად გამსახურდია გახსოვს?

— სილუეტის დონეზე — მაშინ პატარა ვიყავი...

— დედისერთა ხარ?

— დიახ...

— მერე, დედა პოლიტიკურ აქტიურობას არ გიშლიდა?

— ეს დღემდე ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან ყველა ოჯახს სტაბილურობა და სიწყნარე უყვარს, ამიტომ მხოლოდ დედაჩემისა და ჩემი მეუღლის კი არა, მისი მშობლების მხრიდანაც ყოველდღეა მოწოდება, რომ...

— მერწმუნე, დღეს ხელისუფლებისგან საფრთხე არ გემუქრება — აგერ, ამხელა მფარველი გყოლია, ჯაბა ჯიშკარიანი.

— რას ნიშნავს, მფარველი? რაც საფრანგეთიდან ჩამოვედი, ჯაბა სულ ორჯერ ვნახე...

— გინდა, დღეს გულწრფელად ილაპარაკო?

— ვლაპარაკობ.

— რახან ასეა, ახლა, არ მითხრა, ფული საფრანგეთში ვიშოვეო... ორგანიზაციის შენახვას დიდი თანხა სჭირდება.

— რა თანხა?

— თუნდაც, ოფისის ქირა...

— ვერ ხედავ, ამ ოთახში სამი მაგიდა და ერთი კომპიუტერი დგას...

— ვიცი, უარყოფ, მაგრამ „თავისუფალ თაობასთან“ სანდრო ბრეგაძეს რა შეხება აქვს?

— სანდრო, პრაქტიკულად, ბავშვობიდან, 2009 წლიდან მოყოლებული, ჩემი უფროსი მეგობარია, რომელთანაც იმ დონის კომუნიკაცია დავამყარე, რომ რჩევისა თუ თხოვნის ჩამორთმევის საშუალება მაქვს. ვანო, სხვა ჟურნალისტებსაც შევამჩნიე, რომ ყურადღებას სანდროზე ამახვილებენ — ალბათ, ერთად დაგვინახეს, მაგრამ მეგობრები ვართ.

— ერთად არსად დამინახიხართ, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ეს იდეა „ოცნებაში“ დაიბადა...

— რა იდეა?

— რა და — „თავისუფალი თაობის“ შექმნის...

— არა...

— ამ ორგანიზაციის ლიდერობა ვინ შემოგთავაზა?

— ჩვენთან, როგორც ასეთი, ლიდერი არავინაა. უბრალოდ, სხვებზე მეტი ნლოვანება, გამოცდილება მაქვს და ერთადერთი, ეს მაძლევს უფლებას, ლიდერი მერქვას, მაგრამ ჩვეულებრივი ახალგაზრდა ვარ, რომელიც სხვებთან ერთად იბრძვის!

— ისე, თქვენი გუნდიდან ყველაზე გამორჩეული, მგონი, ნინო ბუჩუკურია!

— კი, ნინო წარმატებული გოგოა...

— ესე იგი, მაინც არ მეუბნები, ფულს ვინ გაძლევთ...

— მოდი, ასე გეტყვი: ფული, როგორც ასეთი, ოფისის შესანახად მჭირდება — ქირა, დენის ფული... გაზს არ ვხმარობთ.

— გაიყინებით!

— სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი გაზი არ გვიხმარია... მოკლედ, კოლოსალური თანხა არ მჭირდება... უფრო სამომავლო პერსპექტივა მაინტერესებს.

— მაგაზეც გალაპარაკებ...

— ყველამ, ვინც ემიგრაციაშია ნამყოფი, იცის: როცა სამშობლოში ბრუნდები, იქაური სახელმწიფო გაძლევს საშუალებას, თავიდან 7-ათასიანი, მერე კი, ყოველწლიურად, 1500-ევროიანი გრანტი მოიპოვო. გარდა ამისა, შემიძლია, 1500-1500 ევრო სხვა საშუალებებითაც ავიღო. ზოგი ამ ფულს ბიზნესში დებს — მაღაზიას ან სალონს ხსნის. მე კი, გეგმა არასამთავრობო კუთხით დავწერე...

— ჩვენთან ყველაზე მომგებიანი ბიზნესი პოლიტიკაა!

— მე აქედან სარგებელი არ მაქვს. უბრალოდ, ჩემს აზრს ხალხს ვაწვდი!

— ლადო, გიყურებ და ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებ — პოეტური გარეგნობა გაქვს...

— რას ლაპარაკობ?!

— ისე, დედას გავხარ...

— მადლობა...

— ჰოდა, არ ჯობია, შენი აზრი ყვირილით კი არა, მშვიდად მომაწოდო?

— რამდენიმე საქველმოქმედო აქცია ჩავატარეთ, მაგრამ ამის შესახებ გაგიგია?

— გააპიარე და გავიგებ!

— არ პიარდება...

— საქველმოქმედო აქციაზე როდის დამპატიჟე და არ მოვედი?

— შენზე კი არა, ტელევიზიებზე ვამბობ!

— მიშას ბაძავ — ტელევიზიების გარდა, მედიას არ აღიარებ!

— როგორ არ ვაღიარებ, მაგრამ ტელევიზიას ბევრი მაყურებელი ჰყავს!

— მიშაც სწორედ ამას ამბობდა!.. პრემიერის თქმისა არ იყოს, ნაცმოძრაობა რადარიდან, ადრე თუ გვიან, გაქრება და დარჩები უსაქმოდ...

— არ მგონია, უსაქმოდ დავრჩე!

— აბა, რას გააკეთებ?

— ყოველთვის იქნებიან ძალები, რომლებიც უსამართლობას სჩადიან.

— დღეს, ნაცების გარდა, უსამართლობას არავინ სჩადის? მაგალითად, „თავისუფალი თაობა“ ყაზბეგის გამზირზე, სკვერის გაჩეხვას რატომ არ აპროტესტებს?

— გვინდა, უფრო პოლიტიკურ სტრუქტურად ჩამოვყალიბდეთ და არ გვინდა, ამ ეტაპზე ყურადღება სოციალურ და ეკოლოგიურ თემებზე გავამახვილოთ...

— ლადო, ამ ბოლო ფრაზას არ დავწერ, თორემ მერე, დიდი პოლიტიკოსი რომ გახდები, შენს წინააღმდეგ გამოიყენებენ!

— ნახე, რას ვამბობ: იმისთვის, რომ სამომავლოდ სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებზე ყური დამიგდონ, დღეს საჭიროა, სხვა დონის პოლიტიკური აქტივობები „ჩავიდინოთ“!

— სხვათა შორის, არც ის გაგიპროტესტებია, „ოცნება“ ოქმის გარეშე ჩხრეკას რომ აკანონებდა...

— ეს თემა ხომ გადაიდო, თორემ ნაციონალების მხრიდან ყველაზე დიდი სალაპარაკო იქნებოდა და არც იმას გამოვრიცხავ, აქციები ჩვენც გაგვემართა, რადგან არავის ესიამოვნება, ქუჩაში პოლიციამ გააჩეროს და ჯიბეები ამოუტრიალოს, თუმცა როგორ შემიძლია, ხელისუფლებას იმ კანონზე დავუპირისპირდე, რომლითაც საზღვარგარეთ „ნაიომნიკად“ წასული ჯარისკაცი დაისჯება...

— საუბარი თუ უკრაინისკენ მიგყავს, არ დაგავიწყდეს, რომ საქართველოს მოქალაქეები სირიაშიც იბრძვიან. ასე რომ, ზემოხსენებული კანონი მხოლოდ ნაცების დასასჯელად არ გამოდგება!

— საქართველოს მოქალაქეები არც იქ უნდა ომობდნენ და თუ საქართველოს მოქალაქე ხარ, საქართველოს ინტერესებიდან უნდა გამოდიოდე!

— ერთი სიტყვით, ნაციონალები ხომ არიან ავანტიურისტები...

— კი, დიდი...

— შენც ავანტიურისტი ხარ!

— ვცდილობ!

— მე თუ მკითხავ, ავანტიურა ცუდი არაა, მაგრამ ნაციონალებს ავანტიურაში აჯობებ?

— არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში, აი, რაც მათ აქვთ — „ზონა“, „პიკასოს კლუბი“ და ასე შემდეგ, ვაჯობებ! დიდ პოლიტიკოსებს კი ჯერჯერობით ვერ დავეჯახები!

— ისე, გინდა, დიდი პოლიტიკოსი გახდე?

— რა თქმა უნდა, მაქვს ამბიცია, გავიზარდო და პოლიტიკოსად ჩამოვყალიბდე!

— პრემიერობაც ხომ არ გინდა?

— მაგაზე ჯერ არ მიფიქრია, თუმცა გარკვეული ასაკის შემდეგ, ალბათ, ამის ამბიციაც გამიჩნდება და ეს ჩვეულებრივი ამბავია! ადამიანი იზრდება — ჯერ სიარულს სწავლობს, მერე — მანქანის ტარებას და მერე, ფრენაც უნდა!

— შენი გვარის ისტორია იცი?

— არა... ვიცი, რომ წარმოშობით იმერეთიდან, სოფელ ჭალიდან ვარ, რომელიც საჩხერის რაიონშია — იქ დღესაც ბევრი სადღობელაშვილია.

— საჩხერე, ხო?

— ახლა, ივანიშვილთან ნუ გამაიგივებ... მამაჩემი წარმოშობით ჭიათურელია, დედა კი, რამდენიმე თაობით — თბილისელი.

— ერბოკვერცხი და გოგლი-მოგლი გიყვარს?

— (იღიმის) არა. კვერცხის გამოყენება სხვა მიმართულებით მიყვარს!

— აქციებს როგორ გეგმავ — იდეა უცებ მოგდის თუ..?

— აქციებს ყოველდღე არ ვმართავთ. ამა თუ იმ დასარტყმელ წერტილზე ინფორმაციას ვაგროვებთ. აი, მაგალითად, მიშას ბიბლიოთეკა...

— მიშას კი არა, პრეზიდენტის ბიბლიოთეკა...

— სააკაშვილის სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა... ჯერ გზებს ვსწავლობდით, ვინაა ხელმძღვანელი, ჯერ ერთი ადამიანი შევიდა, მერე — მეორე, გაიგო, შიგნით რა ხდება...

— სუფთა სპეცსამსახურია, რა?!

— ამას ახალგაზრდები ვაკეთებთ!

— ლადო, მგონი, 30 წლის ხარ და რაღა დროს შენი ახალგაზრდობაა!

— ჩემს ირგვლივ ახალგაზრდები არიან... მაგალითად, ნინო ბუჩუკური სტუდენტია და ჩვენთან მისი ბევრი თანაკურსელია.

— ესე იგი, როგორც შენ ჯიშკარიანმა შეგაცდინა, შენც ასევე შეაცდინე ეს ბავშვები, არა?

— ჯიშკარიანს არ შეუცდენივარ! სურვილი რომ არ მქონოდა...

— ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ნებისმიერი ძალადობისას, მსხვერპლს პატარა სურვილი აქვს...

— ეგრეა, ჩემო ბატონო!

— ამჟამად, „თაობა“ ოპერატიულ მეთვალყურეობას ვისზე ან რაზე აწარმოებს?

— „ახალი ზონის“ ოფისში ვერაფრით შევაღწიეთ...

— „ახალი ზონა“ რაღაა?

— „თავისუფალი ზონის“ ახალი ოფისი.

— გინდა, ამ მისიას მე შევასრულებ!

— მართლა?

— კი, ოღონდ დაინტერესება უნდა მქონდეს!

— რა დაინტერესება?

— მომისმინე, რა კარგ იდეას გთავაზობ: „ზონის“ ახალ ოფისში ისე შევალ, როგორც ჟურნალისტი...

— ახლა, ამას დაწერ...

— ისე დავწერ, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდება!

— (იცინის) არავითარ შემთხვევაში! სხვა გზებს მოვნახავთ!

— შენი ნებაა, მაგრამ ამ მამხილებელი მასალების შეგროვება რად გინა? ისე, დავიჯერო, შენზე ერთი კომპრომატიც არ არსებობს?

— ძალიან ბევრი ბოროტი ქალბატონი საუბრობდა...

— ქალბატონი არ მიხსენებია...

— ჩემზე ძალიან ბევრი ბოროტი ხმა იყო.

— მაინც, რა ხმა?

— რა ვიცი... ახალგაზრდობაში, თურმე, ლექციებს ვაცდენდი, ბიჭები ვჩხუბობდით, ქალბატონებს ცუდად მოვექეცი... მამათმავლობასაც მაბრალებდნენ...

— უი, მაგასაც?

— კი, ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმაა... ქურდობაც დამაბრალეს.

— ყველაზე მეტად რომელი ბრალდება „გაგიტყდა“?

— მამათმავლობა...

— ლგბტ მეგობარი არ გყავს?

— მერე, მაგაში ცუდი რა არის? ნარკომანი მეგობარიც მყავს...

— „შარლი“ ხარ?

— ნაწილობრივ კი, ოღონდ გააჩნია, რომელი მიმართულებით!.. ორი დღის წინ რომ დამიჭირეს, შენ ლადო იყავი?

— კი: შინ ვამბობდი, დღეს ლადო ვარ-მეთქი...

— ამბობდი? მაგ დონის შარლი მეც ვარ!

— გინდა, გულწრფელად გითხრა? — შენზე არა, მაგრამ ცოტნე ბუჩუკურზე ვნერვიულობდი, გამოუშვებდნენ თუ არა.

— ვთქვათ, მე კვერცხი ვისროლე და უნდა დავეკავებინე, მაგრამ ცოტნე სულ ტყუილად დააკავეს...

— კვერცხი ძვირი ღირს...

— 30 თეთრი ღირს და 30 თეთრი ძვირია?

— კაცო, ერთ კვერცხს ხომ არ ისვრი ხოლმე?

— კვერცხში, ჰა-ჰა, 10 ლარი დამეხარჯა!

— კვერცხი ოფისში გაქვს დასაწყობებული თუ აქციის წინ ყიდულობთ?

— აქციის წინ, მარკეტში ვყიდულობთ — მაცივრიდან ახლადგამოღებული კვერცხია...

— ანალოგიური აქცია „ზონამ“ და „პიკასოს კლუბმა“ რომ მოგიწყოს, რას იზამ?

— გაბედონ!

— და რას იზამ, რომ გაბედონ?

— ნახავ! არ მაინტერესებს, ეს თუნდაც მუქარად აღიქვან! მორალური უფლება არ აქვთ, ბუდიდან გამოვიდნენ იმიტომ, რომ მათმა ბოსებმა და დამფინანსებლებმა...

— მაპატიე, დამფინანსებლები ვინ არიან?

— არ ვიცი, „ობშიაკი“ ვის უჭირავს, მაგრამ ამბობენ, ბუღალტერი და ტვინი კეზერაშვილი და ადეიშვილიაო. ასევე, ბოკერიაც...

— ...წეღან მითხარი, პირადულზე არასოდეს გადავდივარო, მაგრამ ხომ იცი, ცნობადი სახე ხარ და ადამიანებს შენზე ყველაფერი აინტერესებთ. ჰოდა, ცოლს ბოლოს როდის უღალატე?

— არასოდეს მიღალატია! ორი ანგელოზი შვილი მყავს, ვიცი, ღალატით ოჯახში შეიძლება, ბზარი გაჩნდეს და არ მინდა, მეუღლე და ორი ანგელოზი დავკარგო!

— დღეს საქართველოში თავს დაცულად გრძნობ?

— იმ რეჟიმისგან, რომელიც ნაციონალების დროს იყო, კი, დაცული ვარ, მაგრამ ცოტა სხვა დაუცველობის განცდა მაქვს — როცა ახალაიაზე, „ზონასა“ თუ მერაბიშვილზე ვლაპარაკობ, ბევრი ჯგუფი მიპირისპირდება, რადგან არ უნდა, ახალგაზრდები ამ კუთხით აქტიურობდნენ და აქციებს სწორედ ამიტომ ვმართავთ, ეს კრიმინალური დაჯგუფებები აღიკვეთონ! ხელისუფლებას ვთხოვ, მოვუწოდებ, მომეცეს საშუალება, ქუჩაში მშვიდად ვიარო!

— ...ლადო, ჩვენებური ჩეგევარა ხარ?

— არა!

— აბა, ერნესტოს სურათი რატომ გაქვს გაკრული?

— მიმაჩნია, რომ ამ ადამიანმა მსოფლიოს თუნდაც განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა და თავისუფლებისთვის, სოციალიზმისთვის ბრძოლაში თავი განირა!

— სოციალიზმი გინდა თუ კაპიტალიზმი?

— ზომიერი სოციალიზმი — უფრო საფრანგეთის მოდელი, რომელიც კომუნიზმში არ უნდა გადაიზარდოს!

— კონკრეტულად მიპასუხე: ნატო თუ რუსეთი?

— უფრო ნატო.

— უფრო თუ უფროს გარეშე?

— უფრო ნატო...

— პუტინის მიმართ სიმპათია გაქვს?

— არა. უბრალოდ, განცდა მაქვს, რომ ნატო პუტინისგან ვერ დამიცავს!

— რუსეთი ოკუპანტია?

— რა თქმა უნდა! მიმაჩნია: საქართველომ ნეიტრალიტეტი რომ ჩამოაყალიბოს, უფრო დაცულები ვიქნებით!

— „თავისუფალი თაობა“ ოკუპაციის წინააღმდეგ აქციას რატომ არ მართავს?

— სურვილი გვქონდა, 2014 წლის ოქტომბრის ბოლოს, 15 ნოემბრამდე, ოკუპაციის ზონაში აქცია გაგვემართა, მაგრამ ამ თემას უფრო ნაციონალები ლობირებდნენ და არ გვინდოდა, ჩვენი მათთან გაიგივება მომხდარიყო...

— ...მოძღვარი გყავს?

— კი, მყავს...

— ჩათვალე, რომ პრესმოძღვარი ვარ და მითხარი, ყველაზე დიდი ცოდვა რა ჩაგიდენია?

— ვერ გეტყვი...

— ...რას ვერ გააკეთებ?

— ადამიანი ადამიანი იმისთვისაა, ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი გააკეთოს!

— ...შერეკილი ხარ?

— (იცინის) რაღაც დონით, ალბათ კი.

— შერეკილები ყველაზე კრეატიულები არიან... ოცნებობ?

— კი, ვოცნებობ, მაგრამ ოცნებებსა და კრეატიულობაზე რატომ ვსაუბრობთ?

— ბოლოს როდის იტირე?

— 2006 წელს, როცა მამა გარდამეცვალა...

— ნაციონალები რომ დაბრუნდნენ, სად წახვალ?

— ისევ საფრანგეთში... სხვათა შორის, ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ძალიან ბევრი ნაციონალის მეუღლე თუ შვილი მემუქრება, აი, დავბრუნდებით და ნახავ, რასაც გიზამთო, თუმცა ამ მუქარას ყურადღებას არ ვაქცევ!

— ლადო, ბოლო სიტყვა მითხარი და წავედი...

— პირველი ჟურნალისტი ხარ, ვინც ასე დამელაპარაკა და ალბათ, ესაა შენი ხიბლი...

— მადლობა...

— მინდა, მოსახლეობას ვუთხრა: დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება! მთავარია, ყველაფერს პატრიოტული ზრახვებით მივუდგეთ!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ლევან ვარშალომიძისა და გიორგი აბაშიძის სავარაუდო ფინანსური კავშირები

დაიბარებენ თუ არა მთავარ პროკურატურაში აჭარის ყოფილ დიდერს — სახელმწიფო აუდიტის სკანდალური დასკვნა

„ვერსია“ აუდიტის სახელმწიფო სამსახურის იმ მასალების გამოქვეყნებას განაგრძობს, რომლებიც ექსკლუზიურად, ოფიციალური წერილის საფუძველზე მოიპოვა. აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ სხვადასხვა უწყების შემოწმების აქტები უკვე მთავარ პროკურატურაშია გადაგზავნილი. ამჯერად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აუდიტის დასკვნას გაგაცნობთ, რომელიც 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს. შესაბამისად, იკვეთება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მაშინდელი თავმჯდომარის, ლევან ვარშალომიძის პასუხისმგებლობის საკითხიც, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, ვარშალომიძეს მთავარ პროკურატურაში დაიბარებენ თუ არა. ბიუჯეტის არამიზნობრივად გახარჯული თანხები, დარღვევები ელექტრონულ ტენდერებსა და პრივატიზების პროცესში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უგულებელყოფა ან ხარვეზით შესრულება, სამინისტროს თანამშრომლებისთვის გაზრდილი პრემიის ოდენობა — ეს იმ დარღვევების მცირე ჩამონათვალია, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემოწმებისას გამოავლინა.

არამიზნობრივად გახარჯული თანხები

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებისთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან „იბიარდი“, მიღებული სესხის აუთვისებელ ნაწილზე, შესაბამისი სტრუქტურების არაეფექტური მუშაობის შედეგად, ვალდებულების გადასახადის სახით, გადახდილია 85 000 ლარი, აქედან — 2011 წელს 51 000, 2012 წელს კი 34 000 ლარი.

2010 წლის 18 თებერვალს, „იბიარდსა“ და საქართველოს შორის ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო ხელშეკრულებას, რომლითაც ბანკმა საქართველოს 3 000 000 ევრო გამოუყო. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების შესამუშავებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ლევან ვარშალომიძის 2009 წლის 20 ივლისის №58 განკარგულების საფუძველზე, სპეციალური კომისია შეიქმნა, თუმცა ამის მიუხედავად, საპროექტო დოკუმენტაციის სამუშაო ვარიანტი ვერ შეიმუშავეს, რის გამოც, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, „იბიარდის“ მიერ გამოყოფილი 3 000 000 ევროდან, ერთი ევროც კი არ იყო ათვისებული; შესაბამისად, აუთვისებელ ნანილზე ვალდებულების გადასახადის სახით, 85 000 ლარი გადაიხადეს.

ამავე ხელშეკრულებით, 155 000 ევროს ექვივალენტი 334 100 ლარი არამიზნობრივად გაიხარჯა. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 28 ივნისის №109 განკარგულების საფუძველზე, აჭარის საავიაციო ბაზრის პოტენციალის ანალიზის, ბინზესგეგმის შემუშავების, ახალი ავიაკომპნაიის რეალიზაციის გეგმაზე, შპს LUFTHANSA CONSULTING GMBH-თან, 2012 წლის 6 ივლისს, გამარტივებული შესყიდვის ფორმით, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ღირებულება 310 000 ევრო იყო. ხელშეკრულება სამ ეტაპს ითვალისწინებდა, პირველ ეტაპზე ბაზარი უნდა შეეფასებინათ, მეორეზე ბიზნესგეგმა შეედგინათ, მესამეზე კი სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების №1 დანართის თანახმად, თუ პირველი ეტაპის შედეგების მიხედვით, ბათუმში ავიაკომპანიის დაფუძნებას არაეფექტურად ჩათვლიდნენ, კონსულტანტისთვის მხოლოდ წინასწარ გადახდილი თანხის — 155 000 ევროს ანგარიშით ხელშეკრულება უნდა შეეწყვიტათ.

აუდიტორული შემოწმებით დადგინდა, რომ პირველი ეტაპის სამუშაოები 2012 წლის 24 სექტემბერს მიიღეს. ბაზრის შეფასებაში წერია, რომ ბათუმში ავიაკომპანიის დაარსებისთვის ჩადებული ინვესტიციები ნაკლებად ეფექტური იქნებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების №1 დანართის პირობები არ შეასრულეს და საკონსულტაციო ფირმას მეორე და მესამე ეტაპის სამუშაოები გააგრძელებინეს, ხელშეკრულებით განსაზღვრული მეორე და მესამე ეტაპის შესრულებისთვის გათვალისწინებული 155 000 ევროც გადაიხადეს, რაც იმ პერიოდში არსებული კურსით 334 100 ლარი იყო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ლევან ვარშალომიძის 2009 წლის 17 ივლისის №102 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, შპს HESTOK BATUMI-ს საკუთრებაში გადასცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი, 16 892 500 ლარის ღირებულების სხვადასხვა უძრავი ქონება.

„ვერსიის“ ინფორმაციით, HESTOK BATUMI-ს მფლობელი შპს HESTOK LIMITED-ია. კომპანია დიდ ბრიტანეთშია რეგისტრირებული, 20%-იან წილს ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კორპორაცია ORIX INVESTORS CORP ფლობს. საჯარო რეესტრში არსებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ HESTOK LIMITED-ს რუსეთის მოქალაქეები — ირინა ანტიპოვა და კლიმენტი ქასრაძე აკონტროლებენ, ამავე კომპანიის მმართველობითი ორგანოს წევრია ლატვიის მოქალაქე ანდრეის მოროზოვი. HESTOK LIMITED-ის ჰოლდინგში შედის შპს „ტურინვესტიც“, რომელიც ბათუმში „ბათუმი ჰილტონს“ აშენებს. 2012 წლამდე, „ტურინვესტს“ კაიზერ ქასრაძე ხელმძღვანელობდა, 2012 წლიდან კი ის გიორგი აბაშიძემ ჩაანაცვლა...

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნით, 2009 წლის 29 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად, სხვა ვალდებულებებთან ერთად, შესაბამისი ნებართვის მიღებიდან 45 თვის ვადაში, შპს HESTOK BATUMI-ს საბაგირო გზის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა დაეკისრა. კომპანიამ საბაგირო გზის გეგმა შეიმუშავა, მაგრამ ერთ-ერთი შუალედური ხიმინჯის განთავსების ადგილად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ის ნაკვეთი შეარჩია, სადაც საქართველოს შსს-ს ანძა იყო განთავსებული. შსს-ს ანძის მშენებლობა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ 2011 წლის თებერვალში განახორციელა.

2011 წლის აგვისტოში, HESTOK BATUMI-ს მიერ შემუშავებული საბაგირო გზის გეგმა ბათუმის მერიამ უალტერნატივო პირობად მიიჩნია, რის გამოც, ახლადაშენებული ანძის დემონტაჟისა და ახალი ანძის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. გამოუყენებლობის მოტივით, ბალანსიდან 135 100 ლარის ღირებულების აქტივები ჩამოწერეს და ლევან ვარშალომიძის ბრძანების საფუძველზე, შპს HESTOK BATUMI-ს, პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 199 100 ლარის ღირებულების ქონება დამატებით გადასცეს.

სანახევროდ შესრულებული სამუშაოები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ლევან ვარშალომიძის 2006 წლის 14 თებერვლის №15 ბრძანებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, კომპანია „აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი“-ს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52.83%-იანი აქციათა პაკეტები გადასცეს და 2006 წლის 18 თებერვალს, ნასყიდობის ხელშეკრულება შემდეგი ვალდებულებებით გააფორმეს: საინვესტიციო თანხის მთლიანი ოდენობა 17 500 000 აშშ დოლარით განისაზღვრა; სს „აჭარის კურორტების“ საწესდებო კაპიტალში რიცხულ შენობა-ნაგებობებსა და სს „მესხეთში“ შესახლებული, იძულებით გადაადგილებული პირების გამოსახლება (თითოეულ ოჯახზე საკომპენსაციო თანხა 7 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში); სს „აჭარის კურორტების“ საწესდებო კაპიტალში რიცხულ შენობა-ნაგებობებში 36 თვის ვადაში განხორციელდეს დასასვენებელი კომპლექსის, ჯანმრთელობის რეაბილიტაციის, გასართობი, ტურისტულ-რეკრეაციული პროფილის მქონე ან/და მათთან გათანაბრებული დანიშნულების ობიექტების ექსპლუატაციაში შეყვანა.

აუდიტორული შემოწმებით გაირკვა, რომ 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებებიდან კომპანიამ შეასრულა სს „მესხეთში“ შესახლებული, იძულებით გადაადგილებული პირების გამოსახლებისა და კომპენსაციის გადახდის ვალდებულება; ყოფილ სასტუმრო „მედეას“ ტერიტორიაზე ააშენა და ექსპლუატაციაში გაუშვა სასტუმრო Radisson Blu Hotel. კომპანიის მიერ პრივატიზებულ დანარჩენ ობიექტებზე, სამშენებლო სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა.

იმის გამო, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციები არ გაუთვალისწინებიათ, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პირგასამტეხლოს დარიცხვის უფლება არ აქვს. გარდა ამისა, სს „აჭარის კურორტების“ საკუთრებაში არსებული ყველა უძრავი ქონება, ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული უფლებით, საბანკო იპოთეკითაა დატვირთული და უფლებრივად, ნაკლის მქონე ქონებას წარმოადგენს.

სახელშეკრულებო პირობების დარღვევის ფაქტები

2013 წლის 23 აპრილის მდგომარეობით, სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, სხვადასხვა კომპანიას პირგასამტეხლოს სახით, 48 931 600 ლარი და 14 010 000 აშშ დოლარი დაარიცხა. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ამ თანხის მობილიზებისთვის საჭირო, ქმედითი ღონისძიებები არ გაუტარებია.

შემოწმების შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებსა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში, სხვადასხვა სახის ხარვეზი გამოავლინეს. კერძოდ, თამარის დასახლებაში მშენებარე ორი 9-სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოცხადებულ ტენდერში, საუკეთესო ღირებულების დაფიქსირების მიუხედავად, კომპანია, რომელმაც ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი არასრული სახით წარადგინა, დისკვალიფიკაცია მიანიჭეს. სამაგიეროდ, 4 849 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება მომდევნო პოზიციაზე მყოფ შპს NAREM CMB-ს გაუფორმეს. სამუშაოს შესრულების ვადად კი 2012 წლის 20 დეკემბრამდე პერიოდი განსაზღვრეს.

2012 წლის 25 ოქტომბერს ამ კომპანიამ შეთანხმების ოქმი №2 გააფორმა, რომლის საფუძველზეც, ხელშეკრულებაში გარკვეული ცვლილებები შევიდა და სახარჯთაღრიცხვო მონაცემები საგრძნობლად შეიცვალა, სამუშაოების ღირებულებაც 123 200 ლარით გაიზარდა. საცხოვრებელი სახლების მშენებლობის პროექტის ტექნიკურ და კონსტრუქციულ ნაწილზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნა არსებობს, რომელიც მშენებლობისთვის საჭირო სტანდარტებთან შესაბამისობას ეხება, მაგრამ პროექტში შესული მასშტაბური ცვლილებების სტანდარტებთან შესაბამისობა ექსპერტის მიერ დადასტურებული არაა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ხარჯთაღრიცხვაში განხორციელებულ ცვლილებებს სახელმწიფო აუდიტორები მაღალი რისკის გარემოებად მიიჩნევენ. რაც მთავარია, საცხოვრებელი სახლების მშენებლობა 2012 წელს არ დასრულებულა.

ქედის მუნიციპალიტეტში მდებარე 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ ელექტრონული ტენდერის საშუალებით შეისყიდა. ტენდერში შპს „სამშენებლო კომპანია ბათუმმა“ გაიმარჯვა, რომელთანაც 690 000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა. 2012 წლის 3 აგვისტოს, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, სახელშეკრულებო ღირებულება 31 600 ლარით გაიზარდა და 721 600 ლარი შეადგინა. ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებებით, შესასრულებელი სამუშაოების დასახელებები, მოცულობები და სამუშაოების ღირებულება შეიცვალა.

სამინისტროს ხარვეზები

სახელმწიფო აუდიტების დასკვნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში არსებული სუსტი შიდა კონტროლის სისტემა მისი ფუნქციონირების არასაკმარის ხარისხს განაპირობებს. სამინისტროში, საქონლის სახელმწიფო შესყიდვების ყველა ეტაპს — ტენდერის გამოცხადებას, საქონლის მიღებას, აღრიცხვასა და ამის შემდეგ თანამშრომლებზე მის გადანაწილებას ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი ახორციელებს, რაც ავტორიზაციის რისკს შეიცავს; ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე არასათანადო კონტროლის დაწესების ფაქტებსაც. კერძოდ, 2007 წლის 14 დეკემბერს, პირობითი აუქციონის ფორმით, ნოდარ ბერიშვილმა ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო №74-ში მდებარე 451 100 კვადრატული მეტრი ფართობის №1 მუსიკალური სკოლის შენობა და მასზე დამაგრებული 1 050 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება განახორციელა. 2010 წლის 29 ნოემბერს, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა დასრულდა, თუმცა ამის შესახებ სამინისტრომ წერილობითი შეტყობინება მხოლოდ 2012 წლის 17 აპრილს ანუ 16 თვის შემდეგ გაგზავნა.

2011 წლის 8 სექტემბერს, ფიზიკურმა პირმა სულიკო თურმანიძემ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარში მდებარე 784 100 კვ.მ. ფართობის შენობა-ნაგებობისა და 802 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პრივატიზება განახორციელა.

დასასრული მე-7 გვერდზე

გია როინიშვილმა ბიძინა ივანიშვილს ფული „მოუტეხა“?

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

მას შემდეგ, რაც მსახიობი გია როინიშვილი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრიდან გაათავისუფლეს, მითქმა-მოთქმა არ წყდება. ერთნი ამბობენ, პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოო, მეორენი მის ექსპარლამენტარობით აპელირებენ და აღნიშნავენ, რაც დაიმსახურა, ის მიიღოო, მესამენი კი უფრო შორს მიდიან და აცხადებენ, მსახიობის თეატრიდან გაშვება ბიძინა ივანიშვილის პირად წყენას უკავშირდება — როდესაც თეატრში რემონტი მიდიოდა, იქაურობას ბატონი გია კურირებდა და დიდი თანხა მოტეხაო. ამ ვითარებაში მტყუან-მართლის გარკვევა ადვილი არაა, თუმცა მას შემდეგ, რაც მსახიობმა გოგა პიპინაშვილმა საჯაროდ განაცხადა, მეც გია როინიშვილი ვარო და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გადაწყვეტილება არ მოუწონა, ქეთი დოლიძემ საკუთარ Facebook-გვერდზე დაპოსტა, როდესაც თავად 12 წლის ბავშვებს არ პატიობს რეპეტიციის გაცდენას, რატომ არ მკითხა, სად არის როინიშვილიო?! ნინელი ჭანკვეტაძე კი არ ურჩევს მსახიობს იმ ნაგვის ქექვას, „რომელშიც თვითონ გაისვრება“... ასეა თუ ისე, დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: ვიღაც „გია როინიშვილია“, ვიღაც — „ქეთი დოლიძე“... თუმცა, ეს ჩემი გასარჩევი ნამდვილად არ არის. ფაქტია: გია როინიშვილი თეატრიდან გაუშვეს...

სამი სავარაუდო მიზეზი, რის გამოც ქეთი დოლიძემ მსახიობი თუმანიშვილის თეატრიდან გაუშვა

— გულდაწყვეტილი ხართ, ბატონო გია?

— ბუნებრივია, არსებობს გულისწყვეტა... და აღარ მინდა, თეატრი ასე იყოს... ჩემზე მაღალი რანგის მსახიობებიც გაუშვიათ, ხდება ასე... ბუნებრივიაო, ვერ გეტყვით, მაგრამ არახალია...

— ასე რატომ ხდება?

— ინტერესებია სხვადასხვა, ვიღაც ფიქრობს, იმ წუთში არ სჭირდები იქაურობას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხელოვანად არ მიგიჩნევს.

— თქვენს შემთხვევაში რა მოხდა?

— რა სპექტაკლებშიც ვიყავი დაკავებული, ორივედან მომხსნეს... მითხრა, აღარ ითამაშებ „ბაკულას ღორებშიო“, რომელიც ბატონმა მიშამ დადგა და მანვე ამიყვანა როლზე... ეს გრძელდება ორი წელია, გამინახევრეს ხელფასი, მე კი ახალ პროექტს ველოდებოდი, მაგრამ...

— ქალბატონ ქეთის სხვა არგუმენტი აქვს და ამბობს, რომ თქვენ არ მიდიოდით თეატრში და როდესაც რამაზ იოსელიანს ძმა გარდაეცვალა, თამაშზე მაშინაც კი უარი თქვით.

— არც მახსენდება ასეთი ფაქტი... ან საქართველოში არ ვიყავი იმ დროს, ან ავად ვიყავი და ფეხზე ვერ ვდგებოდი, სხვაგვარად წარმოუდგენელია, არ მივსულიყავი.

— მიკიბ-მოკიბვის გარეშე გკითხავთ — ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო?

— არ მინდა, ასე იყოს, მაგრამ ისე იხატება ყველაფერი, ამ დასკვნამდე მივდივარ. შეიძლება, შურისძიების მომენტიც აქვს, ალბათ, ქალბატონ ქეთის — მე რომ ფესტივალი დამიხურეს... ის რომ პარლამენტიდან ჩამობრძანებულიყო... მის ტონალობაში ეს იგრძნობა, თუმცა არ მინდა, დავიჯერო, ზევიდან უკარნახა ვინმემ, ალბათ, თავის გამოჩენის მიზნით ჩათვალა, ასე მოქცეულიყო... აბა, სხვა რა მიზეზია — ჯერჯერობით, შემოქმედებითად ამორტიზებული არ ვარ და ქართველი მაყურებელიც აუცილებლად გამოიტანს სწორ დასკვნებს...

— რატომ გახსენებთ ფესტივალის დახურვას, ბატონო გია?

— ნამდვილად არ ვიცი — ის ფესტივალი, როგორც მახსოვს, იყო მერიის დაქვემდებარებაში. საერთოდ, პარლამენტარი არ იღებს გადაწყვეტილებას ვინმეს მოხსნასა და დანიშვნაზე, ამას აღმასრულებელი ხელისუფლება აკეთებს... მერიაში მითხრეს, რომ დაფინანსება მოუხსნა სახელმწიფომ, თორემ ფესტივალის ჩატარება მისთვის არავის აუკრძალავს.

— შედეგად ხომ გაჩერდა ეს პროექტი?

— მესმის, ძნელია სახსრების მოძიება, მაგრამ ფესტივალს კერძო ინვესტორებიც ჰყავს, თორემ მე არც მის გახსნასა და არც დახურვაში მიმიღია მონაწილეობა. ერთი კი ფაქტია: ქეთი დოლიძემ, უნებლიედ, ჩემთვის დიდი საქმე გააკეთა — ძალიან დიდი სიყვარული ვიგრძენი ხალხისგან და მადლობა მინდა ვუთხრა ამისთვის ისევე, როგორც ჩემს კოლეგებს.

— ნინელი ჭანკვეტაძესაც, რომელიც „ნაგავში ქექვას“ არ გირჩევთ?

— გული მწყდება... არ ვარ ღირსი, ასეთი რამ თქვას ჩემმა კოლეგამ.

— და პარტნიორმა, ბატონო გია.

— ვერაფერს ვიტყვი... ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. ყოველ შემთხვევაში, მე არ მაქვს ასეთი განწყობა არც ერთი ჩემი კოლეგის მიმართ და ქეთის გამართლებასაც კი ვეძებ. ჟურნალისტებმა მკითხეს და ვუპასუხე, არაფერში ვიქექები, არც კი ვიცი, რომელ ჭუჭყზეა საუბარი.

— მაინც, რატომ ირევა ფასეულობები ან რატომ იკვეთება ხელოვნება და პოლტიკა? ვინ, ვინ და ეს თქვენ ყველაზე კარგად იცით.

— ეს საერთო პრობლემაა და არა მხოლოდ ამ ხელისუფლების... ვფიქრობ, ქვედა რგოლები ამას შეგნებულად აკეთებენ, რომ ხელოვანები ერთმანეთს დაუპირისპირონ.

— ასეთი ადვილი სამართავები არიან ხელოვანი ადამიანები?

— ეს ხომ დამოკიდებული პროფესიაა? მე უნდა დავჭირდე ვიღაცას, ჩემთან უნდა მოუნდეს რომელიმე რეჟისორს მუშაობა და ბევრია „თუ“-ა შუაში. თორემ ეს ზოგადი ფრაზაა, რომ პოლიტიკა და ხელოვნება გადაჯაჭვულია...

— ასევე, „ზოგადად“ იყავით პარლამენტარი?

— ეს იყო ძალიან დიდი გამოცდილება...

— არ ნანობთ?

— არა... ჩემი ქვეყნის ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში ვმონაწილეობდი, დსთ-დან გამოსვლაზე ხმა მაქვს მიცემული, ომი გადავიტანეთ ამ დროს... ეს მნიშვნელოვანი საკითხები იყო. მე ავიღე ეს პასუხისმგებლობა იმ გუნდთან ერთად და მიუხედავად იმისა, რომ პიარი არ მიყვარს, ქართული თეატრისთვის არაერთი საქმე გამიკეთებია...

— მაგალითად, რა გააკეთეთ მათ დასაცავად, ვინც თავის დროზე პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს?

— ჩვენ დროს იყო თანამდებობიდან გადაყენება და არა — თეატრიდან გაშვება. რეგიონებში რომელი მსახიობი რის გამო წავიდა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ის გახმაურებული ამბები, რასაც გულისხმობთ, თუნდაც ქეთი დოლიძის შემთხვევაში...

— რობიკო სტურუაც, ბატონო გია...

— ისინი გადააყენეს სამხატვრო ხელმძღვანელობიდან. თეატრიდან არ გაუშვიათ...

— არ გაგიჩნდათ ამის გამო პროტესტი?

— ჩემთვის მთავარი იყო, რომ რობიკო სტურუა დარჩა თეატრში, მას შეეძლო, დაედგა სპექტაკლები, შეუნარჩუნდა ხელფასი... ეს მინისტრის გადაწყვეტილება იყო... შემოქმედებით მხარეზე საუბარი არ ყოფილა, აქ მის ჰომოფობიურ განცხადებებს ეხებოდა საქმე, რაზეც გარკვეული მოსაზრებები მაქვს და არ ეხება ხელოვნებასა და მის შემოქმედებას. ეს გადაწყვეტილება მინისტრმა მიიღო და მნიშვნელოვანია, რომ მას ადგილი თეატრში შეუნარჩუნდა. სტურუას კი არ ვედრები, მე ჩვეულებრივი, რიგითი მსახიობი ვარ, რომელიც ქეთი დოლიძემ სეპქტაკლში იმიტომ არ დაკავა, რომ არ უნდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითამაშებდი და არც ეს პრობლემა დადგებოდა.

— მაშინაც ბევრი იყო ისეთი, ვინც თქვენსავით მსჯელობდა, მაგრამ არავინ უსმენდა.

— ვისაც პრეტენზია ჰქონდა ხელისუფლებასთან და საკუთარ პოზიციას აფიქსირებდა, თეატრიდან არ გაუშვიათ! მე ამას ვაქცევდი ყურადღებას და არ დავუშვებდი, ასე მომხდარიყო.

— ამხელა წონა გქონდათ, რომ არ დაგეშვათ?

— დიახ, არ დავუშვებდი... არც დამდგარა ეს საკითხი, სხვანაირად წინააღმდეგი წავიდოდი. შტატის შემცირებები იყო, მაგრამ მათი აზრის გამო არ მომხდარა გათავისუფლება.

— თქვენც ჩარეცხილებში გადიოდით?

— გადიოდა ყველა, ვინც ეს თავის თავზე მიიღო... რატომ საუბრობთ წარსულზე? დღევანდელ დღეზე ვილაპარაკოთ!

— რატომ ბრაზობთ?.. მაშინ ის მითხარით, მართლა „მოტეხეთ“ თუ არა დიდი თანხა თეატრის რემონტისას, ამბობენ ამის გამო ბიძინა ივანიშვილი გაგინაწყენდათ?

— მსგავსი რამ პირველად მესმის... ჯერ ერთი, არანაირად არ მქონია შეხება თანხებთან, გარდა ამისა, რემონტი წლების წინ იყო და ამის გამო ახლა გამიშვეს თეატრიდან? კარგი, რა? არც კი ვიცი, რა კომენტარი გავაკეთო... მე გამომიშვეს თეატრიდან და ხმამაღლა დავაფიქირე საკუთარი პოზიცია. ტყუილად რევენ სხვებს ამაში და მათ სახელსა და გვარს ეფარებიან.

— ახლა რას აპირებთ?

— ილიას უნივერსიტეტში ვასწავლი მსახიობის ოსტატობას, ერთ სპექტაკლს ვთამაშობ მიწვევით და დაკავებული ვარ „ჩემი ცოლის დაქალებში“...

— მოგწონთ როლი?

— ზოგადად, ასეთი კაცები არ მომწონს და ხანდახან მის მიმართ პროტესტიც მიჩნდება ხოლმე.

— სიმართლე გითხრათ, უფრო დათრგუნულს გელოდით, თამაშობთ?

— სცენაზე არ ვარ და როგორ უნდა ვითამაშო? დაიმახსოვრეთ — მსახიობები ყველაზე ნაკლებად თამაშობენ ცხოვრებაში, ჩვეულებრივი ადამიანები კი პირიქით, იმიტომ, რომ სცენა არ გაქვთ. ვარ ისეთი, როგორიც ვარ, ჩემს დარდს თქვენ რატომ გაჩვენებთ, ეს ზრდილობის საკითხია — მე ცუდად მაცვია, თორემ კარგად აღზრდილი ვარ.

ლევან ვარშალომიძისა და გიორგი აბაშიძის სავარაუდო ფინანსური კავშირები

მე-6 გვერდიდან

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პერიოდში, 2012 წლის 4 მაისს, აღნიშნული ქონება იპოთეკით დაიტვირთა, რაზეც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ნებართვა არ გაუცია.

2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების რაოდენობა 97 ერთეული იყო. 2011 წლის განხილული შედეგებით კი, მომგებიანად დაფიქსირებულია 16 საწარმო ანუ 16.5%, ხოლო 11 საწარმოს 2011 წელს არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ წარუდგენია.

2012 წელს, ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში, დივიდენდის სახით, 1 307 400 ლარია ჩარიცხული. საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობას 2011 წლამდე, კლების ტენდენცია ახასიათებდა. 2011-2012 წლებში, დივიდენდების ზრდა განპირობებულია შპს „საავჭრო ცენტრი 2009“-ს მიერ, ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხებით. ამ შპს-მ 2011 წელს, 740 000 ლარი, ანუ ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 67.2% შეადგინა, ხოლო 2012 წელს, კომპანიამ ბიუჯეტში 627 100 ლარი ჩარიცხა, რაც ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 48% იყო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წელს, ჯამში, 64 ობიექტი იყო პრივატიზებული. აქედან, 37 — პირდაპირი მიყიდვის, 11 — პირობითი აუქციონის და 16 — უპირობო აუქციონის ფორმით. ამავე პერიოდში, 82 ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებით, ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი მიმდინარეობდა. მონიტორინგის შედეგად, შემდგომი რეაგირების მიზნით, 9 საქმე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადასცეს.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 39 შემთხვევაში, 55 888 200 ლარის ღირებულების ქონების პრივატიზება 6 853 800 ლარად განხორციელდა. აქედან, 29 შემთხვევაში, 40 615 600 ლარის ქონება პრივატიზებულია სიმბოლურ ფასად — 1 ლარად. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების პრივატიზებისას, პრიორიტეტული მიმართულებები არ შეუმუშავებიათ და მთავრობის მიერ, ცალკეულ შემთხვევებში, არაერთგვაროვანი მიდგომაც დაფიქსირდა. მაგალითად, 2012 წელს, პირობითი აუქციონის ფორმით, 463 500 ლარად, პრივატიზებული იყო შპს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი“, რომლის საპრივატიზებო პირობად ამ ცენტრის რეაბილიტაცია, ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილეობა, პროფილის შენარჩუნება, დივიდენდის — 515 800 ლარის გადახდა განისაზღვრა. არადა, შპს BROTHERS-ს. მრავალფუნქციური საავადმყოფოს მშენებლობისა და მოქალაქეთა დასაქმების პირობით, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაეცა ბათუმში გენერალ აბაშიძისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში მდებარე, 1 620 500 ლარის ღირებულების, 15 005 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შრომის ანაზღაურების მუხლით, 1 862 500 ლარი განესაზღვრა, რაც დამტკიცებული საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 17 ოდენობას შეადგენდა. დამტკიცებული საშტატო განრიგის გათვალისწინებით, ამ თანხიდან თანამდებობრივი სარგო 1 300 800 ლარი, ხოლო საპრემიო ფონდი — 561 700 ლარი იყო. სააუდიტო პერიოდში, საშტატო განრიგსა და შესაბამის ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შრომის ანაზღაურების ფონდი 334 000 ლარით გაიზარდა და 2 196 500 ლარი შეადგინა. თანამდებობრივი სარგო 3.7%-ით შემცირდა და 1 252 500 ლარზე დაფიქსირდა, ხოლო საპრემიო ფონდი 68%-ით გაიზარდა და 944 000 ლარი გახდა. ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურშიც, სადაც წლის დასაწყისში დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო არ შეცვლილა, მაგრამ საპრემიო ფონდი 85.8%-ით გაიზარდა.

სახელმწიფო აუდიტორების მოთხოვნის მიუხედავად, აუდიტის პერიოდში, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა, შრომის ანაზღაურების მუხლში საპრემიო ფონდის აღნიშნული რაოდენობით გათვალისწინებისა და შემდგომში, მისი ზრდის განმსაზღვრელი დოკუმენტი ვერ წარადგინეს.

„ეს ამბავი ახალაიამ გაიგო და ამიტომაც დაარტყა ხელი ქურდებს...“

კოშმარული მოგონებები გლდანისა და ორთაჭალის ციხეებზე

პატიმარი №0578

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ პატიმრები საკნებს სახლს ეძახიან და რომელიმე პატიმარი ეზოდან საკანში რომ ადის, იბარებს, სახლში ვიქნებიო. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ე.წ. სახლში ზოგს ათი წლის გატარება უწევს. შესაბამისად, თავისი კუთხე ყველას ისე აქვს მოწყობილი, რომ მაქსიმალური კომფორტი შეიქმნას. ამასთან, პატიმრისთვის ერთი ზონიდან მეორეზე გადასვლა არცთუ სასიამოვნოა: გარდა იმისა, რომ ახალ გარემოსთან შეგუება არ არის იოლი, არის კიდევ ერთი ცუდი ტრადიცია — ახალ ზონაზე მისულ პატიმრებს დამხვდური ზედამხედველები ფიზიკურად უსწორდებიან, აქაოდა, აქ რეჟიმია და ჭკუით მოიქეცითო. წინა ხელისუფლების დროს, ეს ე.წ. მიღება ნეკნების მტვრევით სრულდებოდა. ახლა ვითარება შეცვლილია, მაგრამ არა — რადიკალურად და იმედია, სასჯელაღსრულების დაწესებულების არც ერთი თანამშრომელი არ დადებს თავს, რომ „მიღების“ დროს პატიმრებს აღარ სცემენ, თუმცა ვიმეორებ, წინა ხელისუფლების ქმედებასთან შედარებით, ახლანდელი ცემა მოფერებას უფრო ჰგავს...

ორთაჭალის ციხე პატიმრებს ვერ იტევდა. ასე განსაჯეთ, 12-კაციან საკანში ასზე მეტი პატიმარი იყო შეყრილი. რა თქმა უნდა, საწოლები არ ჰყოფნიდათ — მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველგან დასაწოლი „დიქტი“ იყო ჩადებულ-ჩაკერებული, პატიმრებს ე.წ. სმენკა ჰქონდათ და რიგ-რიგობით ეძინათ. იდეალურ ვარიანტში, ერთ საწოლზე სამი კაცი მოდიოდა და დღე-ღამეში რვასაათიანი ძილი ცუდი არ იყო... იქაურობას ტილი ჭამდა, რადგან შეუძლებელი იყო, ჰიგიენა დაგეცვა ღია „პარაშის“ ფონზე. „პარაშასთან“ მუდმივად რიგი იდგა და „პარაშის“ შესასვლელში ჩამოკიდებული ცელოფანი ვერაფერი ბედენა იყო. ოფიცრები, დილის და საღამოს „პრაკერკაზე“ საკანში შემოდიოდნენ...

„აი, ახლა გეტყვი და გაგეცინება. ხომ გვაქვს აქ ყველას ჩვენი საწოლი?! „სმენკა“ ხომ არ არის, მაგრამ ის მერჩივნა მე, ორთაჭალის ციხე და იცი, რატომ?! — ჯერ ერთი, ამანათები იყო გახსნილი და ამათ დამპალ ბალანდას არავინ ჭამდა. მეორეც, არავინ გცემდა და მესამე, თუ ფული გქონდა, ყველაფერს იშოვიდი. ახლა კიდევ შეხედე, სად ვართ. საშინელი საღებავით გათხაპნილ კედლებში, ქაღალდივით თხელ ლეიბზე და ვინც ამას ბალიში დაარქვა, მე იმის დედა ვატირე. იქ კიდევ ყველაფერი გარედან მოჰქონდათ“, — რეზო ზ. პატიმარ №0578-ს ორთაჭალის ამბებს უყვებოდა.

„ნუ გადამრიე, რა სჯობდა?! რიგრიგობით რომ გეძინათ და შენ ვიღაცის ნაწოლში წვებოდი, მერე კიდევ ვიღაცა შენს ნაწოლში, მერე კიდევ ვიღაცა და მერე ისევ შენ?! ეგ სჯობდა, კაცო?!“ — გაიკვირვა №0578-მა.

„შენი თეთრეული გქონდა, გადააკრავდი და ეგ იყო. ადგებოდი, აიღებდი, მერე სხვა გადააკრავდა. აბა, მითხარი შენ, აქ რამდენი ხანია, ნორმალური საჭმელი არ გიჭამია?! ხომ ხედავ, ლარიოკში ლაყე კვერცხის და ვადაგასული ძეხვის მეტი არაფერი აქვთ. იქ კიდევ, შემწვარ-მოხრაკული მოდიოდა. ეჰ, რა დრო იყო“, — ოცნებებში წავიდა რეზო.

„სჯობია, იმაზე მომიყვე, მიღებაზე რა მოხდა. დაგლეწეს?!“

„მაგას დალეწვა არ ერქვა, ძმაო. რომ გავიგეთ, გლდანის ციხეში უნდა გადავეყვანეთ, მზადება დავიწყეთ. ზოგმა ტორპედოები გაამზადა, ტელეფონები და შტირები შეფუთა... ზოგმა ბევრი ტანსაცმელი, სანამ ახლობლებს ხმას მიაწვდენდნენ, გამოსაცვლელი რომ ჰქონოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, დაგვიძახეს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დღე ჩემს ცხოვრებაში. გლდანში უპრობლემოდ მიგვიყვანეს, ციხის თანამშრომლები ღიმილით დაგვემშვიდობნენ. მივედით ციხის ეზოში, ჩამოგვყარეს „ვარონკებიდან“ ხუთას კაცამდე და გვითხრეს, ეგ ტანსაცმელი ეზოში შეაგროვეთო. ჩვენც დავდეთ ცელოფნები, ზოგს ადიელები და ბალიშებიც ჰქონდა წამოღებული. პირადად მე, ორი ცელოფანი ტანსაცმელი მქონდა. მოკლედ, დავახვავეთ ეზოში და კარგა მოზრდილი მთა გაკეთდა. მოიტანეს ბენზინი, მიასხეს ამ ტანსაცმელს და ჩვენს თვალწინ დაწვეს. გაგიჟდნენ ბიჭები, ზოგს სურათი ჰქონდა ცელოფანში შენახული, ზოგს — წიგნი და ზოგს კიდევ — რა. ვინც გააპროტესტა, იქვე ჩაწიხლეს. მერე კი, იცი შენ, ჩაიხადა-ჩაჯდას თემა იყო, რამდენჯერმე გააკეთეს და ორ კაცს ტელეფონი გამოუვარდა ჩაჯდომის დროს. „სროკი“ დაუმატეს მერე ორივეს, მაგრამ მანამდე ისე სცემეს, გაჩენის დღე აწყევლინეს...

ამის მერე გვითხრეს, საკნებში ადითო და გავოცდი, ასე უმტკივნეულოდ საკანში როგორ გვიშვებენ-მეთქი?! თურმე, სად ხარ, ყველაფერი წინ არის. შევედით კორპუსზე და აქეთ-იქიდან, კორიდორში, სპეცრაზმელები დგანან, ყველას „დუბინკა“ უჭირავს ხელში. გადავთვალე, 25 კაცი ერთ მხარეს იდგა, 25 — მეორე და ამათ შორის უნდა გაგეევლო. გაგეევლო, რა, უნდა გაგერბინა, თორემ მათ შუაში მშვიდი ნაბიჯით კამეჩიც ვერ გაივლიდა. მოკლედ, ამ კორიდორის გავლა ყველაზე იდეალურ შემთხვევაში, 40 დუბინკის მოხვედრას ნიშნავდა. მოვიდა ჩემი ჯერიც, ვახსენე ღმერთი და თავდახრილი გავიქეცი. კარგად მომხვდა, მაგრამ რომ არ დავეცი, მაგით ბედნიერი ვიყავი. ვინც დაეცა, იმას დაესივნენ და სამი იმდენი ურტყეს, თუმცა ეს იყო მხოლოდ პირველი სართული. მეორე სართულის კიბეზე უკვე სხვა სპეცრაზმელები იდგნენ და ახლა ის კორიდორი გავიარეთ, ისევ მოგვხვდა და როგორც იქნა, საკნებში შევედით...

დილით, პრავერკაზე რეჟიმი შემოვიდა, ლოგინი რატომ არ გაქვთ გასწორებულიო და სიკვდილი გვანატრებინეს, ისე გვირტყეს. ასე გრძელდებოდა დაახლოებით ერთი კვირა — ყოველდღე გვცემდნენ, არ გატყუებ, დღე არ ჩაუგდიათ. ასე გაიხსნა ევროპულ სტანდარტებს მორგებული გლდანის ციხე, მე ამათი სტანდარტები და ამათი დედაც“, — დაასრულა რეზომ.

„როგორც ვიცი, ეს ახალი კორპუსი რომ გაიხსნა, აქაც ერთ-ერთი პირველი პატიმარი იყავი“, — არ მოეშვა №0578.

„ჰო, აქაც პირველი ვიყავი ანუ არც აქ გამიმართლა. პროცედურა იგივე იყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ტანსაცმელი არ დაგვიწვეს. ეზო არ იყო დამთავრებული და მთელი რვა თვე სველ კედლებსა და ჩაკეტილში გვაცხოვრეს. შენ რომ მოხვედი და ყველაფერი საათივით დაგხვდა, ჩემს ხელში აშენდა ეს ციხე, რომ იცოდე“, — გაეღიმა რეზოს.

„აშენდა და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, მე რას მამადლი ამის აშენებას. ის თურქი იჯდა შენს კამერაში, გლდანის ციხე და რუსთავის №16 ზონა ვინც ააშენაო და რას ამბობდა, რისთვის დამიჭირესო?!“, — ჰკითხა №0578-მა.

„ჰო, ოსმანა ჩემთან იჯდა. რისთვის და — აფერისტობისთვის. გლდანის ციხეში ხომ გახსოვს, ფანჯრები თითისსიმსხო დაკლეტკილი რკინებით რომ იყო ჩარაზული?! ჰოდა, მაგ რკინებს შიგნით ჰაერი არ უნდა ჰქონოდა, „სლიტკა“ უნდა ყოფილიყო. ამ სირმა კიდევ, მოვატყუებ ხელისუფლებასო და ფუღუროიანი რკინებით გააკეთა. გაგეცინება და, ამ ოპერაციით 16 მილიონი დაზოგა, სულ რკინა-ბეტონი არ არის?! დაუთვალა ხელისუფლებამ ეს ამბავი და კი მიარჭო 15 წელი განსაკუთრებით დიდ ოდენობაზე. ციხეში, აბა, რა უნდა გვექნა, ქართულად ვაგინებდი ყოველდღე მის ამშენებელს და თარგმანში ვეუბნებოდით, მთავრობას ვაგინებთო. როცა ზონაზე მიყავდათ, კამერიდან გასვლამდე სათითაოდ გადაგვეხვია და მერე გამართული ქართულით გვითხრა, მე წარმოშობით ლაზი ვარ და ქართული კარგად ვიციო — ესმოდა გინება, თურმე, მაგრამ იტანდა. ახლა მე-16 ზონაზეა და წეწავენო, მითხრეს. პრინციპში, რას წეწავენ, თვეში ორი ათას ლარს ახევენ და ბალნიჩკაზე გრევს აკეთებენ, მაგისთვის ორი ათასი ლარი არაფერია. დამიჯერე, მილიონები აქვს და არამარტო აქ ნაშოვნი. ეგ საერთოდ არ უნდა გაუშვან, მილიონერი კაცი რომ ციხის აშენებას დაიწყებ, დასაჭერი ხარ, აბა, რა ხარ. წადი, საბავშვო ბაღი ააშენე, სამლოცველო ააშენე, კორპუსი ააშენე, ბოლოს და ბოლოს, პრეზერვატივების ქარხანა ააშენე, ციხეებს რატომ აშენებ?!“ — ნელ-ნელა გაბრაზდა ციხეების თურქ მშენებელზე რეზო.

„ბარემ, ისიც მითხარი, ორთაჭალაში რას გაჭმევდნენ ბალანდაში, სასწაულებს ყვება ხალხი და მაგიტომ მაინტერესებს“, — გაეღიმა №0578-ს.

„შენ იცი, „კომბი-ჟირი“ რა არის?! არც მე ვიცი, მაგრამ ასე ეძახდნენ. ლურჯ, რკინის ბიდონებში ესხა რაღაც სითხე, ზეთიაო, ამბობდნენ და თან იმას გვიმტკიცებდნენ, საჭმელი ზეთიაო. მაგას უშვებოდნენ ყველაფერში და ვისაც ფული არ ჰქონდა, კი ჭამდა ამ „კომბი-ჟირით“ შეზავებულ საჭმელს, ოღონდ ცხელი უნდა გეჭამა, რომ ცივდებოდა, ცისფერ ნადებს იკეთებდა. გაყინული კარტოფილი, ჩამოწერილი კარტოფილი მოჰქონდათ იქ და ფულს ათეთრებდნენ, ალბათ. და კიდევ, დამპალი კომბოსტო. პარალელურად, რაღაც ვერმიშელს უშვებოდნენ ამ ნახარშს და ვერმიშელი ბოლომდე რომ ჩაიხარშებოდა, იშლებოდა წვნიანში და ეს მასა სალაფავს ემსგავსებოდა. ისეთი სუნი იდგა ხოლმე მთელ ზონაზე, ვერ აგიხსნი“, — ცხვირის ამრეზით თქვა რეზომ.

„და ამას ვინმე ჭამდა?!“ — გაიოცა პატიმარმა.

„ვინმე?! ვინმე კი არა, ძალიან ბევრი ჭამდა. შიმშილი ცუდია, ძმაო, ყველაფერს იზამ კუჭისთვის. ვიღაცას არავინ აკითხავდა... აჭმევდი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ მუდმივად ვერავის გამოკვებავ, ამიტომ ჭამდნენ და მერე ორი საათი ტკივილისგან იმანჭებოდნენ. იმ „კომბი-ჟირს“ სარეცხი ჟელე ვერ აცილებდა და გარეცხვის შემდეგ ქაღალდით ამშრალებდნენ, თუმცა ჟელეს სუნს ვერ უქრობდნენ და მეორე დღეს პრაქტიკულად, საპნიან ბალანდას ჭამდნენ. ასე გრძელდებოდა წლები“, — რეზო წასასვლელად გაემზადა.

„ერთს გკითხავ და მოვრჩეთ. ციხის ბუნტის დროს ორთაჭალაში იყავი?“ — არ გაუშვა №0578-მა.

„კი, იქ ვიყავი. ახლა მეტყვი, მომიყევიო. მოსაყოლი არაფერია, მთელი ზონა საუბრობდა, რომ პროვოკაცია იყო მოსალოდნელი და ყველა ფხიზლად გახლდათ, რომ არ ავყოლოდით. როგორც ჩანს, ეს ამბავი ახალაიამ გაიგო და ამიტომაც დაარტყა ხელი ქურდებს, რასაც ჯერ ბუნტის მცდელობა მოჰყვა, მერე კი სპეცრაზმი შემოგვივარდა და დაგვერია. ქურდებს თუ სცემენ ზონაზე და ზონა ხმას არ იღებს, ე.ი. წითელია. სწორედ ეს გათვალა ახალაიამ და ჭკვიანურადაც მოიქცა. კარმუშკაში ყოფდა ავტომატს სპეცრაზმი და გაურკვეველი მიმართულებით ისროდა. მაშინ მართლა მაგრად გადავრჩით. ახლაც არ მჯერა, რომ ცოცხალი ვარ“, — რეზო ისევ წამოდგა.

„შენზე მითხრეს, ქურდობაზე ზისო და კონკრეტულად, რაზე ზიხარ?!“ — ჩაეკითხა №0578.

„გაგეცინება და, 30 ათას ლარზე. უფრო სწორედ, ეს თანხა ოთხ კაცზე გატყდა. ერთ-ერთი ორგანიზაციიდან სეიფი წავიღეთ — უეჭველი ნაკოლი გვქონდა. ვიცოდით, ორასი ათასი უნდა დებულიყო, მაგრამ მარტო 30 ათასი დაგვხვდა. ამის გამო, ნაკოლისმომცემს არაფერი გადავუნაწილეთ, მანაც ტექნიკურად ჩაგვიშვა და ჩვენი თავი დააჭერინა“, — რეზომ ბოლო სიტყვები კართან თქვა.

რეზო ზ. გამოსვლიდან ოთხ თვეში, სამარშრუტო ტაქსში ტელეფონის ქურდობაზე დააკავეს. დაზარალებულმა საკუთარი ნივთი რეზოს ხელში დაუჭირა და სასამართლომაც 6 წელი „გადაუჭირა“.

ვერსიანიუსი

შსს-მ, ყაჩაღობაში ბრალდებული პირი, მომხდარიდან ერთ საათში დააკავა

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1984 წელს დაბადებული გიორგი დ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 17 იანვარს, ღამის საათებში ცივი იარაღით შეიარაღებული ერთი პირი გორში, სულხან-საბას ქუჩაზე საცხოვრებელ სახლში შეიჭრა და იქ მყოფ მოხუც ქალბატონს სიცოცხლის მოსპობის მუქარით ოქროს ნივთები, ძვირად ღირებული საათი და 20 ლარი გასტაცა. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, თუმცა სამართალდამცველებმა ის მომხდარიდან ერთ საათში დააკავეს და გატაცებული ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

იმერეთში ჩინეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ქუთაისში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ჩან შუენი ჩ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირის §33-ში ფართი იქირავა, სადაც ე.წ. ჩინური მასაჟის სალონი გახსნა. იგი სალონში მომუშავე, ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქე ქალბატონებს, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, ფართს პროსტიტუციისთვის გადასცემდა. ე.წ. ჩინური მასაჟის სალონის ჩხრეკისას ამოღებულია პროსტიტუციის შედეგად მიღებული 2895 ლარი.

სამართალდამცველებმა სალონში მომუშავე პერსონალი მოწმის სახით დაკითხეს. ოთხი ქალბატონი პროსტიტუციისთვის დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე პრიმა-3 მუხლით.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

რატომ ითიშება დენი

გიორგი იაშვილი

ბოლო დროს სოციალურ ქსელებში ხშირად აფიქსირებენ უკმაყოფილებას საქართველოში ელექტროენერგიის გათიშვის გამო. ეს უკმაყოფილება საფუძლიანია თუ ფაქტებია გაზვიადებული? ვის ეკისრება ამ დროს პასუხისმგებლობა და ვინ უნდა უზრუნველყოს, რომ მსგავსი პრობლემები არ არსებობდეს? ამ საკითხებზე ექსპერტი, ენერგეტიკოსი ანზორ ჭითანავა გვესაუბრება.

— ვის არის პასუხისმგებელი ელექტროენერგიის გათიშვისას? — სოციალურ ქსელში ენერგეტიკის სამინისტროს ბრალეულობაზე წერენ...

— სამინისტრო არაფერ შუაშია. ის მართვის ორგანოა, რომელსაც სამეურნეო საქმიანობა საერთოდ არ ევალება. ამაზე პასუხს აგებენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „თელასი“, „ენერგო პრო“ და ასე შემდეგ. კონსტიტუციურად და სამართლებრივად სამინისტროს ვერ დავადანაშაულებთ. გათიშვის მიზეზი შეიძლება, ბევრი სხვადასხვა ფაქტორი იყოს, მაგალითად, სტიქიური მოვლენა, ხანძარი, თოვლიანობა, ავარიები წყალსადენზე. მეტყვით, ალბათ, წყალსადენი რა შუაშიაო, აგიხსნით — როდესაც დიდი დიამეტრის მილი გასკდება და დაქაჩვის რეჟიმშია, იქ საჭირო ხდება ელექტროენერგიის გათიშვა. არ მაქვს ინფორმაცია, რომ თბილისში ელექტროენერგია ხშირად ითიშება. რაც შეეხება რეგიონებში გათიშვას, ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოწვეულია ხოლმე სტიქიით, დიდთოვლობით, ზამთრის პირობებში ექსტრემალური შემთხვევებით. ასეთი რამ შეიძლება, ნებისმიერ ქვეყანაში მოხდეს და ამას ვერავინ გაექცევა. მსგავს ფაქტებს მდგრადი ეკონომიკის ქვეყნებშიც კი აქვს ადგილი და მოსახლეობა ელექტროენერგიის გარეშე რჩება. საქართველოში ამ მხრივ თეორიულად არ არის მოსალოდნელი, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი მოხდება, ხოლო პრაქტიკულად — შეიძლება, რადგან ბუნება რას იზამს, არავინ იცის.

კატეგორიულად არ ვეთანხმები ვინმეს დადანაშაულებას. არც ერთი ორგანიზაცია არ არის დაინტერესებული, მომხმარებელი გაითიშოს, რადგან ეს არის დაკარგული შემოსავალი, დაკარგული ავტორიტეტი და ბევრი სხვა რამ. ეს კი არავის უნდა.

— ზოგადად, დღეს როგორია ენერგოვითარება საქართველოში?

— ის ენერგია, რომელიც გაგვაჩნია, აკმაყოფილებს იმ ეკონომიკას, რა ეკონომიკაც გვაქვს, ამასთან ჩვენს ყოფაცხოვრებას და პოლიტიკურ მდგომარეობას. პოლიტიკას დიდი როლი აქვს. მთავარია ექსპორტ-იმპორტი, რაც წარმატებით ხორციელდება. ამიტომ სტაბილურობის თვალსაზრისით, იმ ეკონომიკის თვალსაზრისთ, რა ეკონომიკაც დღეს გვაქვს, შესაბამისი ენერგია გაგვაჩნია. გაიზრდება ეკონომიკა, გაიზრდება მოხმარებაც და უნდა გავამრავლოთ ჩვენი წყაროები. ამ ეტაპზე საგანგაშო არაფერია. ფაქტობრივად, დღეს ენერგეტიკულად უზრუნველყოფილები ვართ. გვაქვს საკმარისი რაოდენობის გაზიც. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში ეს პროცესი მდგრადი გახდა.

— ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებისას მომხმარებელი მაინც ენერგეტიკის მინისტრს ადანაშაულებს...

— ნამდვილად არ მესმის, რატომ? მინისტრზე სულაც არ არის დამოკიდებული, მაგალითად, გლდანში ჩაქრება თუ არა შუქი. მინისტრმა უნდა მართოს სწორი პოლიტიკა, სწორი მიმართულება, გააკეთოს სწორი არჩევანი ინვესტორების მოზიდვის კუთხით. ამ ყველაფერში სათანადო სტრუქტურების მონაწილეობით გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება. ენერგეტიკაში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას მამაზეციერიც ვერ მიიღებს, რადგან ენერგეტიკა ძალიან რთული სფეროა, რანაირი მინისტრი და როგორი სპეციალისტიც უნდა იყოს, იმ გუნდისა და სტრუქტურების გარეშე, რომლებიც მოწოდებულნი არიან, მართონ ეს სფერო, პრაქტიკულად, ვერაფერს შეძლებს. გადაწყვეტილებისთვის ბევრი რჩევა და მრავალმხრივი ანალიზია საჭირო. კახი კალაძეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავადანაშაულებთ ელექტროენერგიის გათიშვის ან იმის გამო, რომ რაღაცას არასწორად აკეთებს. პირიქით, იგი დარგის სპეციალისტებს გვეძახის, გვისმენს, გვეკითხება და ბევრ რამეს ითვალისწინებს. ძირითადი პოლიტიკა სწორად მიდის. ორიენტაცია აღებულია ადგილობრივ რესურსებზე, ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერებაზე, რომლებიც, პრაქტიკულად, განადგურებულები იყო. ახლა ყველაფერი ნელ-ნელა უნდა აღდგეს და ერთი კალაძე ამას არ ეყოფა. ამიტომ საზოგადოებამ მეტი დაკვირვება უნდა გამოიჩინოს, სანამ დასკვნას გააკეთებს.

რეკლამა ასუქებს

იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა რიგი ექსპერიმენტები ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ადამიანებზე საჭმლის რეკლამა. ერთ-ერთი ექსპერიმენტისას აღმოჩნდა, რომ 7-11 წლის ბავშვები, რომელთაც ნახევარსაათიან მულტფილმს აჩვენებდნენ საჭმლის რეკლამის ჩართვით, ტელევიზორის წინ 45%-ით მეტ საკვებს ჭამდნენ, ვიდრე ის პატარები, ვინც ანიმაციურ ფილმებს რეკლამის გარეშე უყურებდა. ასეთი რაოდენობის საკვებმა კი, შესაძლოა, წელიწადში 1ზედმეტი 0-15 კილოგრამი „უზრუნველყოს“. სხვა ექსპერიმენტში, რომელშიც უფროსები მონაწილეობდნენ, უჩვენებდნენ ჯანმრთელობისთვის მავნე საკვების რეკლამას. აქ მონაწილეები ტელევიზორის წინ უფრო მეტს ჭამდნენ, ვიდრე ის ჯგუფი, ვისაც ჯანსაღ და სასარგებლო საკვების რეკლამას აწვდიდნენ. ამგვარად, ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ პირდაპირი და საკმაოდ ძლიერი კავშირი არსებობს საკვების სატელევიზიო რეკლამასა და ადამიანების მიერ მიღებულ კალორიებს შორის. რეკლამის გავლენის ქვეშ ექცევიან როგორც უფროსები, ასევე ბავშვები. რეკლამა საკვების ავტომატურად მიღებას პროვოცირებს იმის მიუხედავად, მშიერია ადამიანი თუ არა. ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმსუქნის ეპიდემიაზე. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ბავშვებმა ტელევიზიით საკვების რაც შეიძლება ნაკლები რეკლამა უნდა ნახონ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

აღვილი

6	1	8	7	9	5	2	4	3
5	7	3	4	2	1	9	8	6
4	9	2	8	6	3	7	1	5
3	2	1	5	8	7	6	9	4
9	5	7	3	4	6	1	2	8
8	6	4	2	1	9	5	3	7
2	4	6	1	5	8	3	7	9
1	3	9	6	7	4	8	5	2
7	8	5	9	3	2	4	6	1

სცენარი

2	7	4	8	6	5	9	3	1
6	8	1	3	2	9	5	7	4
9	5	3	1	7	4	2	8	6
5	2	9	7	4	3	1	6	8
3	6	8	5	1	2	7	4	9
1	4	7	9	8	6	3	5	2
8	3	2	4	5	1	6	9	7
4	9	6	2	3	7	8	1	5
7	1	5	6	9	8	4	2	3

რთული

9	4	2	1	8	7	6	5	3
5	3	8	4	2	6	7	1	9
1	7	6	3	9	5	4	2	8
3	5	4	7	1	2	9	8	6
8	6	9	5	4	3	2	7	1
7	2	1	9	6	8	3	4	5
6	1	7	2	5	9	8	3	4
2	9	5	8	3	4	1	6	7
4	8	3	6	7	1	5	9	2

ექსკლუზიური

8	2	7	6	1	4	9	5	3
5	3	9	2	8	7	4	1	6
4	6	1	3	9	5	2	8	7
3	1	8	9	2	6	7	4	5
2	5	6	4	7	3	1	9	8
9	7	4	1	5	8	6	3	2
1	9	5	8	6	2	3	7	4
6	8	3	7	4	1	5	2	9
7	4	2	5	3	9	8	6	1

მე-10 გვერდი: 1. არმადა; 2. რასპუტინი; 3. აზნაური; 4. ანკერი; 5. ნიკოტინი; 6. ელცინი; 7. გუგუა; 8. გორგანი; 9. აპნისი; 10. აკაცია; 11. ეპარქია; 12. ირონია; 13. ჰავა; 14. ჩარი; 15. ტორტი; 16. ატენი; 17. სირია; 18. აცტეკები; 19. გრიპი; 20. გნუ; 21. აფშინა; 22. ძნა; 23. ნარი; 24. შონ პენი; 25. აიათოლა; 26. ლანდო; 27. ელიტა; 28. ქცია; 29. ლჰასა; 30. პიასტრი; 31. ბატისტა; 32. დუბაი; 33. ლეი; 34. ბადია; 35. კაპუა; 36. მოსკოვი; 37. ჰაე; 38. კეა; 39. ფრონტი; 40. ტრიო; 41. კომპასი; 42. მუსიე; 43. იმპულსი; 44. „ოდოია“; 45. სელინ; 46. რცხილა; 47. „კუკარაჩა“; 48. ლოველასი; 49. კიკუ; 50. სნო; 51. თეო; 52. ამბრი; 53. ორანჟი; 54. ემილ; 55. პიცა; 56. კოლბა; 57. ბონზა; 58. ენძელა; 59. ილიკო; 60. ურვა; 61. ბიოლოგია; 62. ზრო; 63. ევა; 64. კოვზი; 65. ლენინი; 66. ჭრაქი; 67. ლუსტრა; 68. ტელი; 69. ბე; 70. იფი; 71. „ონა“; 72. ჭია; 73. რილკე; 74. ტაიბეი; 75. სუფლე; 76. ექო; 77. გი; 78. „კია“; 79. ქარგვა; 80. ჩოსერი; 81. არტელი; 82. სკა; 83. სორაია; 84. ჰექტორ; 85. ჰანგი; 86. ნაია.

მე-12 გვერდი: 1. ფერწერა; 2. ფორვარდი; 3. რეაქტორი; 4. ელია; 5. რტო; 6. შიმპანზე; 7. ინცესტი; 8. პიპინია; 9. ნეოფიტი; 10. არმავირი; 11. მიულერი; 12. ილუმინაცია; 13. სციპიონი; 14. ევლოგია; 15. უსტარი; 16. ფილუმენია; 17. ამტი; 18. ატა; 19. „აიდა“; 20. ბიზე; 21. მოყვასი; 22. ბიზე; 23. ფიუნესი; 24. ორიოლი; 25. ლუი; 26. სოლ; 27. ამპერი; 28. არსაკიძე; 20. დურუ; 30. ყურმილი; 31. კანცლერი; 32. რამპა; 33. ულმი; 34. ადამსი; 35. ალიტალია; 36. ასტრა; 37. ილაჯი; 38. მილი; 39. ნიავი; 40. საგურამო; 41. ასი; 42. მცხეთა; 43. იანი; 44. ედილი; 45. მარინა; 46. ნაცია; 47. ლარსი; 48. ლას; 49. მაიკ; 50. ბრიჯი; 51. სილა; 52. სევილია; 53. იუმი; 54. ძნა; 55. ბოი; 56. იბიცა; 57. ლივ; 58. სიუ; 59. ამიაკი; 60. იობი; 61. ყური; 62. უსემი; 63. სეი; 64. ანძა; 66. ისუ; 67. დასი.

კალიფორნიაში „სიყვარულის ფურგონი“ დადის

ოკლენდის ქუჩებში „სიყვარულის ფურგონი“ ივლის — დახურული ტიპის ავტომანქანის ქირაობა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, სადაც არასტანდარტულ, ინტიმურ ვითარებაში გაატარებს დროს პარტნიორთან. პაემნების მოძრავი ოთახი, არტ-პროექტის სახით, დიზაინრემა სპაი ემერსონმა შექმნა. ფურგონის შიგთავსი მინიმუმამდეა დაყვანილი, ყოველი არენდატორის შემდეგ კი კომპანია Hook Up Truck პირობას დებს, რომ „ოთახში“ შესაშურ სისუფთავეს დაამყარებს. წესების დარღვევისთვის განსაკუთრებით აქტიურ შეყვარებულებს დააჯარიმებენ კიდეც. ბორბლებზე შემდგარი „სასიყვარულო ბუდით“ მომსახურება 75 დოლარიდან იწყება (30 წუთი — გაქირავების მინიმალური დრო) და 2,5 ათასს აღნევს 5-საათიანი სეირნობისთვის. როგორც იდეის ავტორი აცხადებს, უკვე მიიღო მრავალრიცხოვანი შეკვეთა მარტოხელა დედებისა თუ იმ ახალგაზრდებისგან, ვინც საცხოვრებელს მეზობელთან ერთად იყოფს და მოკლებულია პირად ცხოვრებას; ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ფურგონი ოკლენდისა და სან-ფრანცისკოს ქუჩებში ივლის. კომპანია მსურველებს აფრთხილებს, რომ შეუძლიათ ერთად მხოლოდ ორი კლიენტი მიიღონ 21 წელს ზემოთ, ბავშვები და ცხოველები კი არ დაიშვებიან.

1. კომბოსტოს ერთ-ერთი ჯიში
2. საესტრადო წარმოდგენის სახეობა
3. ორკორპუსიანი გემი
4. იტალიელი კინოვარსკვლავი
5. მაღალფეხიანი საეკლესიო სამკისი
6. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
7. იატაკზე დასაჯდომი ბალიში იაპონიაში
8. მუსლიმანთა მღვდელი
9. სოციალური ინტერნეტ-ქსელი
10. ქიმიური ელემენტი, მეტალი
11. საეკლესიო განკვეთა, დაწყევლა
12. „საბჭოთა ფიზიკის მამა“
13. პორეული მცენარე
14. „ჭირვეული“ თვე
15. კბილის ამოჭრის შეჩერება
16. მოძრავი სხეულის თვისება
17. ქალაქი ჩილეში
18. მოკლე-ნიჩბიანი სპორტული ნავი
19. კარგი საჭმელების მოყვარული
20. მდინარის ღრმა და ვიწრო ხეობა
21. სვეტებიანი გალერეა
22. ინის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფიაში
23. მომავალი, მყოფადი დრო
24. პუშკინის გადია
25. სიუხვე, ბარაქა
26. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
27. ამერიკელი რეპერი
28. წვრილი ნაწლავის ანთება
29. თავის ტვინის ერთ-ერთი ნაწილი
30. მიმართვა პოლონელი მამაცისადმი
31. დიდნისკარტა ტროპიკული ფრინველი
32. ვაზის ბაღი
33. გაუდინარი ტბა თურქეთში
34. მდინარე ჩეხეთში
35. კოსმეტიკური საცხი
36. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, ყოფილი პირველი ჩოგანი
37. თმის მცენარეული საღებავი
38. საქართველოს ფინანსთა მინისტრი
39. თევზის თხევადი ცხიმი
40. დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
41. ამერ. ჯაზის ლეგენდა ... ელინგტონი
42. სოფელი ქედის რაიონში
43. მერკურის ძველქართ. სახელი
44. ფრთოსანი მწერის განვითარების სტადია
45. ტოკიოს სავაჭრო ცენტრი
46. ხისძირიანი ფეხსაცმელი
47. ცნობილი რუსი მსახიობი და ბარდი
48. სახოტბო ლექსი
49. ბგერის ანარეკლი
50. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
51. ნარკოტიკული ნივთიერება
52. მეოთხე მუსიკალ. ინტერვალი
53. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
54. პარაგვაის ჩაი
55. იგივეა, რაც სვირინგი
56. იმ ადგილას ანუ ...
57. ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
58. უხუცესთა საბჭო ძვ. საბერძნეთში
59. ქართული ანბანის მე-17 ასო
60. ვაზის დაავადება
61. რვაკუთხედი
62. სოფელი სენაკის რაიონში
63. სარწყავად გაჭრილი პატარა არხი
64. ხორავას კინოპერსონაჟი ფილმში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“

ანაკონდას თავი გადააყლაპინა

ცნობილი ამერიკელი ნატურალისტის საქციელმა ფართო საზოგადოებაში დიდი რეზონანსი და „მწვანეების“ მწვავე რეაქცია გამოიწვია. პოლ როზოლიმ სპეციალური კოსტიუმი გამოიგონა, რომლის საშუალებითაც ცოცხალი გადარჩა უზარმაზარი ანაკონდას მუცელში. სწავლულმა გველს თავი გადააყლაპვინა, ეს ყველაფერი კი ვიდეოზე დაფიქსირდა. დამონტაჟებული სიუჟეტი უკვე გაჩნდა ინტერნეტში, სულ მალე კი მას „დისქავერის“ არხი აჩვენებს. 400-კილოგრამიან ანაკონდაზე ჩატარებული ეს უნიკალური ექსპერიმენტი ზაფხულში შედგა. ნატურალისტი იმდენად იყო დარწმუნებული დამცავი კოსტიუმის საიმედოობაში, რომ უფრო მეტად ანაკონდას უსაფრთხოებაზე ნერვიულობდა. კოსტიუმი საკმაოდ გლუვი იყო, გველისთვის რაიმე ზიანი რომ არ მიეყენებინა. როზოლი აცხადებს, რომ მისი ექსპერიმენტის მიზანი ამაზონის ტროპიკული ტყეების გაქრობის პრობლემაზე ყურადღების გამახვილებაა. ბოლო, რაც მახსოვს, ეს გველის ფართოდ გახსნილი ყბებია, ჩემს სახეს რომ დაჰყურებდა, მერე უკვე დაბნელდა, — ჰყვება მკვლევარი. ჯამში, მან ანაკონდას მუცელში თითქმის ერთი საათი დაჰყო. როზოლის არ დაუკონკრეტებია, როგორ დააღწია თავი „იქაურობას“. ექსპერიმენტის ანონსის შემდეგ, ცხოველთა დაცვის საზოგადოების აქტივისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ნატურალისტი. აღსანიშნავია, რომ ანკონდამ შემდეგ ჯერზე სწავლულის ექსპერიმენტი ჩააგდო, რომელიც ცოტა ხნის წინ „დისქავერის“ არხის პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. გველი არ მოხიბლა ნატურალისტის კოსტიუმმა და მისი „შეჭმა“ არ მოინდომა, მხოლოდ შემოეხვია. როცა ანაკონდას ჩახუტება საკმაოდ ძლიერი გახდა, როზოლიმ ექსპერიმენტი შეწყვიტა.

ჩინოვნიკებს იმპორტული სიგარეტი აუკრძალეს

ჩრდილოლ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა მაღალ თანამდებობებზე მყოფ ჩინოვნიკებს იმპორტული იგარეტი მოწევა აუკრძალა. ქვეყნი მეთაურის განცხადებით, ასეთი თამბაქოს მოწევა არაპატრიოტულია, სამამულო პროდუქცია კი უცხოურზე უარესი არ არიო. ლიდერი

განჩინება ალბათ, უცხოეთიდან სიგარეტის იმპორტზე უარის თქმას უნდა ნიშნავდეს. ანალიტიკოსების განცხადებით ეს გადაწყვეტილება დიდ გავლენას ვერ მოახდენს თამბაქოს ნაწარმის მოხმარების მოცულობაზე, რადგან ასეთი საქონლის უმეტესი ნაწილი შავ ბაზარზე იყიდება. კიმ ჩენ ინი რაეტხელ უნახავთ სიგარეტით ხელში, თუმცა ქვეყნის ლიდერი რა მარკის ტა,მბაქოს ეწევა, უცნობია. აღსანიშნავია, რომმ კორეული სიგარეტის ერთი კოლოფი 0,5 დოლარი ღირს, იმპორტული კი — 5-10 დოლარის ფარგლებშიო.

ყველაზე ძვირიანი სავტომობილო ნომერი

დიდ ბრიტანეტში ავტომობილის ყველაზე ძვირი სარეგისტრაციო ნიშნის რეკორდი დამყარდა — ნომერი „25 ო“ სპეციალურ აუქციონზე 815 ატას დოლარად გაიყიდა. ის კომპნია „ფერარის“ ადგილობრივმა დილერმა, ჯონ კოლინზმა შეიძინა. მისი ტქმით, ასეთი „ლამაზი“ ნომერი ფერარი 250 SWB-თვის სჭირდებოდა, რომელიც ერთ დროს ცნობილ მუსიკოს ერიკ კლეპტონს ეკუთვნოდა. კოლინზი აღიარებს, რომ სასურველი ნომრის შესაძენად 300 ათასის დახარჯვას აპირებდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც კმაყოფილია შენაძენით. ასეთი ნომრით მისი ფერარის პოტენციური ღირებულება ერთი მილიონით მაინც იზრდება.

სუდოკუმანია

ადვილი

3						8	4	
4	2		9					7
		8		4				9
1					4	2		
	6						5	
		4	8					1
2				9		1		
8					7		6	3
	3	9						5

სტანდარტი

	9	8	7					
		6	5			4	9	
			1	9			6	
	8						1	9
		9				6		
4	5						7	
	2			4	6			
	7	4			5	1		
					1	5	4	

რთული

9	1	3	5					
	8			4		5	9	
	4				8			
	9	2						
5	3						7	4
						1	3	
			7				4	
	2	9		6			5	
					4	6	2	9

ექსპერტი

			3			2		
			9	8	2		5	
							1	
7	8			4				2
	1	5				3	8	
9				7			4	5
	9							
	7		8	9	1			
		3			7			

დეზოდორანტის ნაცვლად... კანფეტები

ბაზარზე უამრავი დეზოდორანტი არსებობს — სპრეი, სტიკი, ბურთულიანი ვერსია, თუმცა, ბულგარულმა კომპანიამ ამ სფეროში მეტად უჩვეულო და მოულოდნელი რამ შემოგვთავაზა — ეს კანფეტებია, რომელიც სხეულის უსიამოვნო სუნის აღმოფხვრაში დაგვეხმარება. მცირე საწარმოს მფლობელი ვენცისლავ პეიჩევი, რომელიც ამ კანფეტებს ამზადებს, მიიჩნევს, რომ ადამიანის სილამაზე შიგნიდან უნდა მოდიოდეს და მისი ნაწარმი ამ ამოცანას სავსებით ართმევს თავს. კანფეტებს Deo Perfume Candy უწოდეს. მისი ამოცანა სხეულის სუნის ნეიტრალიზებაა, ეფექტი კი ექვს საათამდე გრძელდება — ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის „გაბარიტებზე" და იმაზე, რამდენ კანფეტს შეჭამს. ცნობილია, რომ პროდუქტი სხვადასხვა ფორმით გამოდის (რბილი შიგთავსით, საღეჭი და უშაქრო ვერსიაც). მას იაპონელი სწავლულების გამოკვლევები დაედო საფუძვლად, რომელთაც გაარკვიეს, რომ ვარდის ზეთის ძირითადი კომპონენტი გერანიოლი არ იხსნება ორგანიზმში და ის კანის მეშვეობით გამოდის. ბულგარეთი კი ვარდის ზეთის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია მსოფლიო ბაზარზე. ახალი კანფეტები უკვე გამოჩნდა აშშ-ში, აზიისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

სიგარეტის ნამწვისთვის დააჯარიმებენ

„სტაბილურობის შესახებ კანონის" ახალი შესწორება წესრიგის იტალიელ დამცველებს ავალდებულებს, დააჯარიმოს ის ადამიანები, ვინც სიგარეტის ნამწვს უადგილო ადგილას გადააგდებს. შესწორება, რომელიც ქალაქის ქუჩების დანაგვიანებისთვის ჯარიმას ითვალისწინებს, უკვე მზად არის და სენატის რატიფიკაციას ელის. მისი ამოქმედებისთანავე, იტალიელებს, ვინც მიჩვეულია ნაწვის მიწაზე დაგდებას ან წყალსატევში გადაგდებას, მოუწევთ 30-დან 150 ევრომდე ჯარიმა გადაიხადონ. ცნობილია, რომ ამ გზით მიღებული შემოსავლის ნახევარი სპეციალურ ფონდში გადაირიცხება, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტრომ შექმნა. იტალიელი ეკოლოგების გათვლით, ყოვლწლიურად აპენინებზე გარემო სიგარეტის 72 მილიარდი ნამწვით ბინძურდება.

REUTERS/Scanpix

„გაბრაზებულმა" კატამ პატრონი გაამდიდრა

„გაბრაზებული კატა", რომელიც უკვე ინტერნეტ-ჰიტად იქცა და რეკლამების, ვიდეოკლიპებისა და ფილმების გმირიც გახდა, პატრონს ქონების დაგროვებაში დაეხმარა. ჰოლივუდის ვარსკვლავები, როგორებიც არიან ნიკოლ კიდმანი, მეტ დეიმონი, მეთიუ მაკკონაჰი, უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე არიზონელი ქალბატონი, რომლის საყვარელმა შინაურმა ცხოველმაც უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა — დაახლოებით ორი წლის განმავლობაში ცხოველის პატრონმა, 28 წლის ტაბატა ბუნდესენმა თითქმის 100 მილიონი დოლარი იშოვა. „იუთუბიზე" გამოქვეყნებულ „მკაცრი" კატის — ტარდარის ვიდეოს ორი წლის წინ ლამის 16 მილიონი მნახველი გამოუჩნდა. გარდა ამისა, კატა საქველმოქმედო რეკლამაშიც გადაიღეს, რამაც მას და მის პატრონს მეტი პოპულარობა მოუტანა. პატრონის თქმით. რაც მისი ოთხფეხა მეგობარი სოციალურ ქსელებში ასეთი ცნობადი გახდა, ის სამსახურიდან წამოვიდა, რადგან ტელეფონი უბრალოდ, არ ჩერდებოდა. ასეთი მკაცრი გამომეტყველება კატას თანდაყოლილი დეფექტის გამო აქვს, რაც მისი პოპულარობის საფუძველი გახდა. ცოტა ხნის წინ ტარდარი ცივი ყავის — Grumppuccino-ს „სახეც" გახდა.

თანასოფლელებს აპარტამენტები აუშენა

ერთმა ჩინელმა მილიონერმა, მშობლიურ სოფელში ყველა სახლი დაანგრია და თანასოფლელებს მდიდრული ბინები და ვილები აუშენა. სიუნ შუიხუამ რამდენიმესართულიან ლუქსის კლასის ახალ სახლებში 72 ოჯახი შეასახლა. გარდა ამისა, კიდევ 18 ოჯახს, რომელთათვისაც მას განსაკუთრებით უნდოდა მადლობის გადახდა, ვილები აუშენა. როგორც გულუხვი მილიონერი აცხადებს, იმაზე მეტი ფულს შოულობს, ვიდრე ხარჯავს, თანაც არ სურს, დაივიწყოს საკუთარი ფესვები. ყოველთვის ვიხდი ვალს და ახლაც მინდოდა ეს ვალი დამებრუნებინა იმ ადამიანებისთვის, ვინც ბავშვობაში, როცა გვიჭირდა, ჩემს ოჯახს ეხმარებოდა, — განაცხადა მან. რა თანხა დახარჯა სიუნმა თანასოფლელებისთვის მდიდრული სახლების აშენებაზე, მედიაში არ გახმაურებულა.

მეფე სკაიპით

ტოგბე კიფა კოსი ბანსახი, ანუ მეფე ბანსახი ხიხოდან (განას რესპუბლიკა) რეალური აფრიკელი მმართველია, რომელსაც არ სჯერა ქვეყნის ძველმოდური მართვის მეთოდებისა და ურჩევნია, გერმანიაში იცხოვროს, ქვეშევრდომები კი სკაიპის მეშვეობით მართოს. 66 წლის მეფე გერმანიაში საცხოვრებლად რამდენიმე წლის წინ გადავიდა, როგორც უცხოელი სტუდენტი და იქ დარჩენა გადაწყვიტა. საინტერესოა, რომ ბანსახი მეფედ 1987 წელს აირჩიეს, როცა მისი პაპა გარდაიცვალა. მამისა და უფროსი ძმის ნაცვლად, გვირგვინი მას დაადგეს, უბრალოდ იმიტომ, რომ ისინი ცაციები იყვნენ. ბანსახის კორონაცია 1992 წელს შედგა, მაგრამ მან გადაწყვიტა, იყოს მეფე განაში ჩაუსვლელად. იგი ფრანკფურტთან ახლოს ცხოვრობს, ჰყავს გერმანელი მეუღლე და მუშაობს ავტომექანიკოსად ერთ-ერთ ავტოფარეხში. ამავდროულად აქვს დრო, 200 ათას მოსახლიანი ხოხო კაიპითა და სატელეფონო ზარით მართოს. მათთან შესახვედრად კი მეფე წელიწადში რამდენჯერმე ჩადის.



1.„კავკასიუ-რი ცარცის წრის“ ავტორი
2. ნახატები-ანი გამოცანა
3.ქართული ხალხური ცეკვა
4. საფრ-ანგეთის პრეზიდენტი
5. ზურგის ტკივნის სითხე
6. ძველი ასურეთის დედაქალაქი
7. ორ-სულობის ხელოვნური შეწყვეტა
8. თუთიყუშის ჯიში
9. კვირის დღე
10.პატარა მტაცებელი ცხოველი, რომელიც საფრთხისას მყრალ სუნს უშვებს
11.მატყლის საპალტოე ქსოვილი
12. თიკნის მაღალხა-რისოვანი ტყავი
13. ზღ-ვაოსანთა კუნძულები
14. მოძრაო-ბის გადამცემი ბორბალი
15.ლითონის ხურდა ფული თურქეთში
16. ცხენის ჭენება
17.უძველესი ქალაქი შუა-მდინარეთში
18. „ტოო-ოტას“ მოდ-ელი
19. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
20.ლატვიის ეროვნული ვალუტა
21. სიკვდილისწი-ნა მდგო-მარეობა
22.ყინულის მთა ოკეანეში
23.თხევადი ცხიმოვანი მჟავების ნარევი
24.წინასწარი განცხადება სპექტაკლის შესახებ
25. ელდარ რიაზანოვის ფილმი
26. დიდი იტალიელი მეცნიერი
27. თანამე-დროვე ესპანელი ჩოგბურთელი
28. საფე-ვილე ყუთი წისქვილში
29. აფრიკუ-ლი შხამიანი გველი
30. ყველაზე მსხვილი არტერია
31. წამლის ბურთულა
32. შუადღის პურის ჭამა
33. ინგლი-სური სქელი ლუდი
34.ძაღლის სადარაჯო ად-გილი ცხვრის ფარასთან
35.რუსული მცირელიტ-რაჟიანი მანქანა
36. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
37. მონ-ღოლეთის ფულის ერთეული
38. შხამიანი თევზი, რომელიც იაპონიაში დელიკატესად ითვლება
39. ძალიან მაგარი ქვა
40. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული
41. აშშ-ის ტელე-პრემია
42.მშვენიერი ელენეს კანონ-იერი ქმარი
43. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
44. სისხლდენა სამედიცინო ენაზე
45. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
46.ოფელიას ძმა
47.დროის მონაკ. კრივში
48. ხის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი
49.ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
50. ლუარსაბ თათქარიძის მეუღლე
51. რძიანი ყავა
52. რეგულარული შემოსავალი კაპიტალიდან
53. ნორვეგ-იელი კომ-პოზიტორი
54. ნიმფა კალიფსოს კუნძული
55. ღრმა და შეუ-ხორცებე-ლი ჭრილობა
56. პორ-ტუგალიელი ფეხბურთელი
57. დიდი კინოფილმის ნაწილი
58. ზედმეტად მარილიანი
59. „ძილში ნანახი ამ-ბავი“
60. ორსული საქონელი
61. ჯულიეტას მიჯნური
62. ადამიანის მსგავსი მაი-მუნი
63.ესპანეთში: ხარების ბრძოლის ხელოვნება
64. ერთვვარი ბანქოს თამაში
65. პოეტური გამოცანა
66. ალექსანდრე ბელიაევის ფანტასტიკური რომანი
67. პლატონ სამანიშვილის მამა
68. თურქული მარგარინის მარკა
69. დიოგენეს „ბინა“
70. ცხენირემი
71. სიმინდის შესანახი ნაგებობა
72.ფართობის ერთეული, ჰექტრის მეასედი
73. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
74. დიდი ჩაქუჩი
75.ზრდილობ. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
76. ინდური კობრა
77. უდიდესი შემოქმედები-თი ნიჭი
78. რომის ცნობილი მადრევანი
79. მარტოხ-ელა ბიჭი
80. ქალაქი მცირე აზიაში, სადაც პირველი საეკლესიო კრება ჩატარდა
81. ფუჭი უშედეგო
82. კედლის სანათი
83.ყველაზე ცივი სოფელი დედამიწაზე
84.კათოლიკ. ეკლესიის მღვდელი საფ-რანგეთში
85.ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს

თეატრის ბილეთების ნაყვლად პორნოჟურნალებს ყიდიან

ტეატრის ბილეტებზე გადასახადის მომატების გამო შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად ორგიგინალური გამოსავალი მოძებნეს მადრიდის ერთ-ერთი კერძო დასის მონაწილეებმა. მთტან სპექტაკლზე მოსახვედრად მაყურებელი ყიდულობს... პორნოგრაფიულ ჟურნალს. სწორედ ეს არის თანხა ყოველი წარმოდგენისთვის. რიმას დე ღიესგო-ის დასი ძირითადად ესპანელი ავტორების კლასიკურ ნაწარმობებს დგამს. ამჟამად ისინი მაყურბელს კალდერონის „ჯადოქარს“ სტავაზობენ/ სპექტაკლის ნახვის მსურველებს შესასვლელ ბი-ლეტებს უფასოდ ურიგებენ, თუ,ცა, ისინი ვალდებულნი არიან, პორნოგრაფიული ჟურნალი შეიძlნონ, რომელიც 16 ევრო ღირს. გაზრდილი გადასახადებით შექმნილი რთული სიტუაციიდან ტავის დასაღწევად დასი „უფროსებისთვის განკუთვნილი ჟურნალების“ დისტრიბუტორად დარეგისტრირდა. ახლა სპექტაკლტან ერთად, მაყურებელი პორნოჟურნალის მფლობელიც ხდება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲐᲘᲐ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ, ᲜᲘᲜᲝ ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ᲜᲘᲜᲝ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔ
ᲢᲔᲚ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.